# მუდამ პარტიასთან ერთად

## საქართველოს მშრომელებმა დამკვრელურად აღნიშნეს შაბათობის დღე

XXV ყრილობას ღირსეულად


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1975 კვირა 20 აპრილი № 93 (16219) ფასი 2 კაპ. 1975


პირდაპირ უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს მუშების მიერ მათივე საკუთარი თაოსნობით მოწყობილ კომუნისტურ შაბათობებს. ჩანს, ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ ეს არის არაჩვეულებრივი დიდი მნიშვნელობის დასაწყისი.

ვ. ი. ლენინი

**გუშინ შაბათობაზე**

გუშინ საქართველოში დაახლოებით 2 მილიონი კაცი გამოვიდა შაბათობაზე. წინასწარი ვარაუდით გამომუშავებულია 14 მილიონი მანეთის საერთველო პროდუქცია, შესრულდა 1 მილიონ 200 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და ხუთწლედის ფონდში გადაირიცხა 2 მილიონი მანეთი.

## ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXV ყრილობას

# მშენებლები სახავენ ახალ მიჯნებს

### რუსთაველ მშენებელთა პატრიოტული ვალდებულებანი

რუსთავის მშენებელთა შრომითი ენთუზიაზმის ახალი აღმავლობა გამოიწვია ცნობამ, რომ 1976 წლის თებერვალში გაიმართება სკკპ XXV ყრილობა. ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის" ტრესტის მუშაკებმა ხალხმრავალი მიტინგები გამართეს მშენებარე ობიექტებზე. მიტინგები გაიმართა მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს სწორკუთხა მილების წარმოების უბნის მშენებლობაზე, საცხოვრებელი სახლების ხამშენებლო მოედნებზე, ლითონკონსტრუქციათა ქარხანაში. მიტინგებზე სიტყვები წარმოთქვეს № 1 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა ა. გლუხარევმა, ამავე სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელმა გ. კაპანაძემ, № 2 სამშენებლო სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირებმა ა. წიკლაურმა და ო. პატიაშვილმა, ტრესტისა და სუბმოიჯარადრე ორგანიზაციათა ბევრმა სხვა მუშაკმა.

მიტინგების მონაწილეებმა მხურვალედ მოიწონეს და სავსებით დაუჭირეს მხარი სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას და დადეს პირობა, რომ ორმაგი ენერგიით იმუშავებენ, რათა ახალი მიღწევებით შეეგებონ პარტიის მორიგ XXV ყრილობას.

ტრესტის კოლექტივმა განიხილა და იკისრა ახალი გადიდებული ვალდებულებანი:

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ 1975 წლის 21 დეკემბრისათვის და არა 28 დეკემბრისათვის, როგორც ეს ადრე იყო გათვალისწინებული; გეგმასთან შედარებით 0,2 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და შრომატევად სამუშაოთა დამატებითი მექანიზაციის დანერგვის შედეგად, 0,5 პროცენტით შეამცირონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება.

მიმდინარე წლის მაისში, ვადაზე ერთი თვით ადრე, საექსპლოატაციოდ გადასცემენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სწორკუთხა მილების საწარმოო უბანს. რუსთავის ქიმკომბინატში აგრეთვე ვადაზე ერთი თვით ადრე ააშენებენ და აამოქმედებენ აზოტის ჟანგეულებისაგან ჰაერის გასაწმენდ დანადგარს. დადგენილ ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავრებენ „ავტომატმრეწვის" საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის გაფართოებასა და რეკონსტრუქციას.

მესამე კვარტალში, ესე იგი ვადაზე სამი თვით ადრე, საექსპლოატაციოდ გადასცემენ ხრამ-რუსთავის წყალსადენის რეზერვუარს, ვადაზე ერთი თვით ადრე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს 600 მოსწავლისათვის. მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ გადასცემენ საბავშვო ბაღს 280 ბავშვისათვის, რომელიც გათვალისწინებულია 1976 წლის გეგმით. დაგეგმილზე 3 თვით ადრე, მიმდინარე წლის სექტემბერში გადასცემენ საექსპლოატაციოდ საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლს.

რუსთავის მშენებელთა ვალდებულებებში აღნიშნულია აგრეთვე, რომ საექსპლოატაციოდ საცხოვრებელი სახლების გადაცემის წლიურ გეგმას შეასრულებენ 1975 წლის 5 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით აითვისებენ 600 ათას მანეთს, საექსპლოატაციოდ გადაცემული ობიექტების 70 პროცენტს ჩააბარებენ შეფასებით „კარგი" და „ჩინებული". გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად მშენებლები დაზოგავენ 400 ათას მანეთს.

**საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ლენინის ორდენოსანი № 1 ტრესტის კოლექტივმა, იკისრა რა ეს მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი, მოუწოდა რესპუბლიკის ყველა მშენებელს უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება მშენებარე ობიექტების ვადაზე და ვადამდე საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის, რათა ღირსეულად შეეგებონ სკკპ XXV ყრილობას. (საქინფორმი).**

# კიროველთა სიტყვა

### თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივი გვპირდება მეტს და მხოლოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას

ეს დღე განსაკუთრებული შრომითი ენთუზიაზმით გამოირჩეოდა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ცხოვრებაში. ყველგან იგრძნობოდა ის ამაღლებული ატმოსფერო, რომელიც ასე დამახასიათებელია საბჭოთა ადამიანებისათვის ყველა ახალი და კარგი საქმის სამზადისში. კომუნისტები, ლენინის ორდენოსნები — ამწყობი ზეინკალი ი. ბუხრიკიძე, ხარატი ი. უკოლოვი, № 1 საამქროს გამმართველ-დამრიგებელი ბ. ჩიტაიშვილი, რომლებმაც რადიოთი მოისმინეს სასიხარულო ცნობა, ჯერ კიდევ დილიდანვე დადგნენ შრომის ვახტზე, რათა დიდი გადაჭარბებით შეასრულონ ვალდებულებები, პირნათლად შეხვდნენ სკკპ XXV მორიგ ყრილობას.

აი პირველმა ცვლამ მუშაობა დაამთავრა. მუშა-მოსამსახურენი სწრაფად შეიკრიბნენ ქარხნის ადმინისტრაციის ეზოში სახელდახელო ტრიბუნასთან, სადაც გაიმართა სკკპ XXV ყრილობის მოწვევის აღსანიშნავი მიტინგი. იგი გახსნა პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. ივანიძემ.

სკკპ XXV ყრილობის მოწვევის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გოგელიძემ.

— მორიგი ყრილობის მოწვევა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი პარტიის, მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში, — თქვა მან. — იგი, დასახავს მეათე ხუთწლედის პროგრამას, შეიმუშავებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ამოცანებს. ამიტომ ხვდებიან მას საბჭოთა ადამიანები დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. საგულისხმოა, რომ ყრილობისათვის სამზადისი ემთხვევა მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, რაც ჩვენგან გაორკეცებულ შრომას მოითხოვს. ქარხნის მუშათა საქმიანობას მუდამ დიდი შეფასება ხვდება წილად და ახლაც ჩვენი სახელგანთქმული, მეგობრული და შრომისმოყვარე კოლექტივი სასახელო მაჩვენებლებით შეეგებება ამ ისტორიულ თარიღს.

სიტყვა ეძლევა მეთოთხმეტე საამქროს ხარატს ა. ხარიტონაშვილს: — სიხარულითა და კმაყოფილებით შევხვდი ცნობას მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ. ტრადიციისამებრ ამ დიდ მოვლენას ჩვენი ქვეყნის მშრომელები ახალი სასახელო საქმეებით უპასუხებენ. ვამაყობ, რომ ამაში ჩვენი, კიროველების დაწვლილიც იქნება. მოგიწოდებთ, მეგობრებო, ყრილობის მოწვევამდე დარჩენილი დღეები დამკვრელურად გამოვაცხადოთ.

— ჩემი პატარა ყრილობისადმი ის იქნება, რომ მეცხრე ხუთწლედის დავალებას გადაჭარბებით შევასრულებ ივნისის ბოლოსათვის, გამოვუშვებ მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას და დამატებით მოვამზადებ ერთ კვალიფიციურ მუშას, — განაცხადა მიტინგზე № 2 საამწყობო საამქროს ამწყობმა-ზეინკალმა ო. ლავროვსკიმ.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მოწინავე ხარატი დ. მოსესოვი და ინჟინერი, კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე მ. მესხი.

მიტინგის მონაწილეებმა ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

## გუშინ თბილისში




ათი უნივერსალური სახარატო ხრახნმჭრელი ჩარხი დაამზადა გუშინ შაბათობაზე თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა. სულ კიროველებმა დაამზადეს 111.800 მანეთის პროდუქცია და ხუთწლედის ფონდში გადარიცხეს 6.500 მანეთი.

დამკვრელური შრომის მაგალითი აჩვენეს ამწყობმა ზეინკლებმა, რომლებიც უნივერსალური სახარატო ხრახნმჭრელ ჩარხებს აწყობდნენ.

სურათზე: მარცხნიდან — ამწყობი ზეინკლები ე. ბერაძე, გ. გუგუნაშვილი და უფროსი ოსტატი ვ. ადუაშვილი შაბათობაზე მუშაობის დროს. ვლ. გინზბურგის ფოტო.

# ჭეშმარიტად მასობრივი, დამკვრელური დღე

**განსაკუთრებულ** ვითარებაში ჩატარდა წლევანდელი შაბათობა. ეს-ეს არის დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც ჩვენს ხალხს აუწყა, რომ მომავალი წლის თებერვალში გაიმართება სკკპ XXV ყრილობა, ახლა ჩვენი ქვეყნის მშრომელები, რომლებიც დამამთავრებელი წლისა და მთლიანად ხუთწლიანი დავალების შესრულებისათვის იბრძვიან, აჩაღებენ შეჯიბრებას სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ბევრი კოლექტივი ლენინური შაბათობის დღეს ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა ამ დიდი ფორუმის ღირსეულად შეხვედრისათვის ლაშქრობის დასაწყისად მიიჩნევდა და, ბუნებრივია, ნაკისრი ვალდებულებებიც მეტად დიდი იყო.

დედაქალაქის მშრომელები ყოველმხრივ მზად შეხვდნენ შრომის ამ ზეიმს. ადგილებზე დიდი ხნით ადრე დაზუსტდა შესასრულებელ სამუშაოთა გეგმები, ყველგან მოიმარაგეს ამ დღისათვის საჭირო ნედლეული და მასალები, დაამტკიცეს შაბათობაში მონაწილეთა სიები.

ცხადია, შაბათობის მომწყობი შტაბების მიერ ადგილებზე გაწეულმა ქმედითმა მუშაობამ კარგი ნაყოფი გამოიღო და საქალაქო შტაბის ადრე სავარაუდო მაჩვენებლებს ნამდვილმა მაჩვენებლებმა ბევრად გადააჭარბა.

**ლენინის სახელობის რაიონის** 254 საწარმოს და ორგანიზაციის 68 ათასმა მშრომელმა გუშინ დამკვრელურად იშრომა. დამზადდა დაახლოებით 1 მილიონ 600 ათასი მანეთის პროდუქცია და ხუთწლედის ფონდში გადაირიცხა 80 ათასი მანეთი. დაირგო 15 ათასი ძირი ხე და ბუჩქი. აღსანიშნავია, რომ რაიონის ოთხმა საწარმომ გუშინ დაზოგილი მასალებით იმუშავა, ხოლო ხუთმა საწარმომ ოთხი თვის დავალება გაანაღდა. რაიონის მშრომელებმა 150 ტონა ჯართი შეაგროვეს.

1 მილიონ 200 ათასი მანეთის პროდუქცია დამზადდა გუშინ **26 კომისრის სახელობის რაიონის** საწარმოებში, სადაც თავის ძირითად სამუშაო ადგილებზე დამკვრელურად იშრომა 61 ათასმა კაცმა, ხუთწლედის ფონდში 60 ათასი მანეთი გადაირიცხა. დამკვრელური შრომის მაგალითი გვიჩვენეს რაიონის სახელოვანმა ადამიანებმა, სოციალისტური შრომის გმირმა გ. ჭეხაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. დუბკოვამ, ლენინის ორდენოსანმა გ. რიმნისთაველმა და სხვებმა.

გუშინ ამ რაიონის საწარმოებმა კერამიკულმა კომბინატმა, ცხიმკომბინატმა, ნავთლუღის პურპროდუქტების ბაზამ ოთხი თვის დავალება შეასრულეს, ხოლო ქიმიურ-ფარმაცევტულმა ქარხანამ, № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკამ, მიკროძრავას ქარხანამ დაზოგილი მასალებით იმუშავეს. სულ შაბათობაში 26 კომისრის სახელობის რაიონის 202 საწარმოს და ორგანიზაციის 61 ათასი კაცი მონაწილეობდა.

110 ათასი მუშა და მოსამსახურე დადგა შრომითი ვახტზე გუშინ **ორჯონიკიძის სახელობის რაიონში**, 160-მა საწარმომ და ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა შრომის ზეიმში **საქარხნო რაიონიდან; პირველი მაისის სახელობის რაიონის** 75 ათასი კაცი იდგა დამკვრელურ ვახტზე; 116 ათასი მანეთის პროდუქცია დაამზადეს **კიროვის რაიონის** 172 საწარმოს და ორგანიზაციის მშრომელებმა; **კალინინის სახელობის რაიონის** 304 საწარმო და ორგანიზაცია იყო მობილიზებული ამ დიდ ზეიმზე; ათასობით მანეთი გადარიცხეს ხუთწლედის ფონდში **ოქტომბრის რაიონის** მშრომელებმა.

ჭეშმარიტად ნაყოფიერი, მასობრივი და დამკვრელური იყო დედაქალაქის მშრომელთა შაბათობა. თბილისელებმა შეასრულეს თავიანთი ვალდებულებები — ერთსულოვნად გამოვიდნენ შაბათობაზე. წინასწარი ვარაუდით გუშინ შაბათობაში 500 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. მშრომელთა ამ დიდი არმიის ერთი ნაწილი — 160 ათასამდე კაცი უშუალოდ ქმნიდა პროდუქციას, შრომობდა მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, დანარჩენმა კი გლდანის მასივში, დელისის მიდამოებში, ვარკეთილის დასახლებაში ათასობით ძირი ხე და ბუჩქი დარგეს.

გუშინ დედაქალაქის 2 ათასამდე საწარმოს და ორგანიზაციის მშრომელთა კოლექტივებმა წინასწარი ვარაუდით 6,5 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს და ხუთწლედის ფონდში დაახლოებით ნახევარი მილიონი მანეთი გადარიცხეს.

შაბათობამ დედაქალაქის მშრომელების დიდი შემართება და ენთუზიაზმი გვიჩვენა. ეს კი იმის გარანტიაა, რომ ისინი პირნათლად შეასრულებენ წლევანდელ გაზრდილ ვალდებულებას — 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის ანგარიშში შეიტანენ 50 მილიონი მანეთის პროდუქციას.

რ. ჭელიძე.

# პირველი შრომის ზეიმი

### „მოსკვა-სორტიროვოჩნაია" — შაბათობის ინიციატორი

ეს მოხდა 1919 წლის 12 აპრილს მოსკოვში... იმ დროს მძიმე დღეების გადატანა უხდებოდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას... გრძელდებოდა სამოქალაქო ომი, ილეოდა პურის მარაგი, რუსეთის ქალაქებში დაეხეტებოდნენ მშიერ-მწყურვალი, უსახლკაროდ დარჩენილი ბავშვები.

„მოსკვა-სორტიროვოჩნაიას" სალოკომოტივო დეპოში სამუშაო ცვლის დამთავრების შემდეგ 15 კაცი, თავიანთ ადგილებზე დარჩა. დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იდგა: როგორ დახმარებოდნენ ფრონტს? საჭირო იყო პიტერის მუშების და ბალტიის ფლოტის მეზღვაურების სასწრაფოდ გაგზავნა ფრონტზე, საჭირო იყო ორთქლმავლის სასწრაფო შეკეთება.

საღამოს 8 საათი იყო... ქარი უბერავდა. 15 კომუნისტმა და უპარტიო მუშამ ერთდროულად დაჰკრა ნიჩაბი დედამიწას... მუშაობდნენ ჭრაქის სინათლეზე, ენთოთ კოცონი...

ასე დაიწყო მსოფლიოში პირველი კომუნისტური შაბათობა.

აი, როგორ იგონებს იმ შორეულ დღეს პირველი შაბათობის მონაწილე, ლენინის ორდენის კავალერი თეოდორე ივანეს-ძე პავლოვი: „დილით როცა მუშაობა დავამთავრეთ, შეკეთებული გვქონდა 3 ორთქლმავალი. ერთ ორთქლმავალზე ლენინის სურათი დავკიდეთ და ნაძვის ხის რტოებით მოვრთეთ. „ინტერნაციონალის" და „ვარშავიანკას" აკომპანიმენტით ჩვენი კომუნისტური უჯრედის კომისარმა ბურაკოვმა ორთქლმავალი გადასცა წითელარმიელ მოხალისეებს, რომლებიც თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად მიეშურებოდნენ"...

რევოლუციის დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი აღტაცებით გამოეხმაურა ამ თაოსნობას და მას საზოგადოებრივი შრომის ახალი ფორმა უწოდა.

...დგას ძველი, პატარა ორთქლმავალი 0137024 მოსკოვში, ბურაკოვის ქუჩაზე. დღეს ამ ლეგენდარული ორთქლმავლის გვერდით სახელოვანი დეპოს „მოსკვა-სორტიროვოჩნაიას" ახალგაზრდა მუშები იყრიან თავს. მთელი კოლექტივი ამაყობს, რომ დეპოს წითელ დროშაზე ბრწყინავს მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი...

დეპოს პირველ კომუნისტურ შაბათობას უკვე ერთი წლის შემდეგ მთელი რუსეთი გამოეხმაურა. 1920 წლის 1 მაისს შედგა სრულიად რუსეთის შრომის გრანდიოზული დღესასწაული. ამ შაბათობაში მონაწილეობდა ვ. ი. ლენინი. წითელი შაბათობები იმ დროიდან მოყოლებული ტრადიციად იქცა. ხოლო 1969 წლიდან ისინი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების დღეს ეძღვნება.

ამ შაბათობის დღესაც „მოსკვასორტიროვოჩნაიას" კოლექტივმა ჩვეული ენთუზიაზმით იშრომა. ინიციატორი კოლექტივი, როგორც ყოველთვის, ახლაც ყველასათვის მისაბაძი და სამაგალითოა.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის" კორ.

# პარტიული კადრების სწავლება

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში დამთავრდა ქვეყნის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო ცენტრებისა და ზოგიერთი სხვა ქალაქის პარტიის საქალაქო კომიტეტების პირველი მდივნების ერთთვიანი კურსები.

კურსების მონაწილენი სწავლობდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებს, სოციალისტური ეკონომიკის მეცნიერული მართვის საფუძვლებს, პარტიული მშენებლობის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფის საკითხებს პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო დადგენილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად. კურსებზე დიდი ყურადღება დაეთმო პარტიის საქალაქო კომიტეტების მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესებას, კომუნისტთა აქტივობის ამაღლებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას, მინდობილი საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით კადრების აღზრდას, პირველადი პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებას.

მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ი. ნ. დმიტრიევი, ი. ი. კაბკოვი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ს. გუსტოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების მოადგილეები ვ. ი. დრუგოვი, პ. ა. ზდოროვი, ვ. ა. მედვედევი, მ. პ. ნოვიკოვი, გ. ს. შჩერბაკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. შიტიკოვი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ბ. ვ. პეტროვსკი, სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი ვ. ი. ტერებილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ვ. ბოიცოვი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. მ. ტიაჟელნიკოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ვ. ი. პროხოროვი, ჟურნალ „პარტიინაია ჟიზნის" მთავარი რედაქტორი მ. ი. ხალდეევი.

კურსებზე ლექციები წაიკითხეს აკადემიკოსებმა ვ. მ. გლუშკოვმა, ნ. ნ. ინოზემცევმა, ტ. ს. ხაჩატუროვმა, პ. ნ. ფედოსეევმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა გ. ა. კოზლოვმა, გ. პ. ბერდნიკოვმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ა. დ. პედოსოვმა და სხვა მეცნიერებმა.

სწავლის პროცესში კურსების მონაწილეებმა ფართოდ გაუზიარეს ერთმანეთს გამოცდილება პარტიის საქალაქო კომიტეტების საქმიანობის საკითხებზე. მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ: უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ი. ლუტაკი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ტ. კუზმინი, პარტიის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები: ალმა-ათისა — ა. ასკაროვი, ბაშკირეთისა — მ. ზ. შაკიროვი, ლიპეცკისა — გ. პ. პავლოვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვ. ნ. იაგოდკინი, სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. პ. დუმაჩოვი. კურსების მონაწილენი გაეცნენ ქალაქ მოსკოვისა და მისი ოლქის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის გამოცდილებას.

# მიეძღვნა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულების 30 წლისთავს

18 აპრილს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა საბჭოთა დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 30 წლისთავს.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე პ. ი. სტრაუტმანისი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. ლესეჩკო და სხვები.

კრებას ესწრებოდა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ფ. კაიმის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა მ. ა. ლესეჩკომ. დღეს ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, ხაზგასმით აღნიშნა მან, რომ 1945 წლის ხელშეკრულებამ ღირსეულად გაუძლო დროის გამოცდას და კარგი სამსახური გაუწია ჩვენს ხალხებს, მთელს სოციალისტურ თანამეგობრობას. საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურღვევი მეგობრობა გადაიქცა დიად ძალად, რომელიც ეხმარება ჩვენს ხალხებს მტკიცედ იარონ წინ ჩვენი საერთო მიზნების განხორციელების — სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების აშენების გზით.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ფ. კაიმმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების 30 წლისთავი დაემთხვა ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავის ზეიმისათვის მზადებას. პოლონელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს დიდი საბჭოთა ხალხისა და მისი ძლევამოსილი არმიის განმათავისუფლებელ მისიას, სისხლს, რომელიც საბჭოთა მეომრებმა დაღვარეს. (სადესი).

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მისამართია: ქალაქი თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 19, შრომის სასახლე, II სართული, ოთახები № 37, 40, ტელეფონები: 93-21-23, 93-27-21 და 93-11-79. (საქინფორმი).

200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია — გეგმის გადამეტებით!

120 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება — ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით!

ყოველი დღე, ყოველი საათი — დამკვრელური!

ხუთწლედის დამლევამდე 255 დღე დარჩა

# შრომის ზეიმი





## გმირი ქალაქების გმირები ფოთში

# გამარჯვების დაფდაფები

საზეიმოდ არის მორთული შავი ზღვისპირა ქალაქი ფოთი. ქუჩებსა და მოედნებს ლამაზად წარწერილი ტრანსპარანტები ამშვენებს: „დიდება საბჭოთა კავშირის გმირებს — გმირი ქალაქის დამცველებს“, „ახალგაზრდავ, იყავი მამათა გმირობის ღირსეული მემკვიდრე“. ყველგან საზეიმო განწყობილებაა.

ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი ხალხს ვერ იტევს. დარბაზში იღვრება მელოდიები, რომელიც დამსწრეთა ხსოვნაში აღადგენს იმ ქარიშხლიან დღეების მოგონებებს, ფაშიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების ბატალიებს. ტაშის ქუხილში პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ საპატიო სტუმრები, გმირი ქალაქების დამცველები: საბჭოთა კავშირის გმირი, გვარდიის გენერალ-პოლკოვნიკი ი. ჩისტიაკოვი, მისი მეუღლე, მოსკოვის დაცვის მონაწილე ელენა ჩისტიაკოვა, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, გენერალ-ლეიტენანტი ზ. სლესარენკო, მისი მეუღლე, ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე ლუდმილა სლესარენკო, საბჭოთა კავშირის გმირები: გენერალ-პოლკოვნიკი ტ. უმანსკი, პოლკოვნიკი ი. ერმალაევი, კონტრადმირალი თ. პახალჩუკი, პოლკოვნიკი გ. გლავაცკი და სხვ.

ასე დაიწყო ქ. ფოთში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი საინტერესო ღონისძიება — ქალაქის ახალგაზრდობის, ომის ვეტერანთა და მშრომელთა წარმომადგენლების შეხვედრა საბჭოთა კავშირის გმირი ქალაქების გმირ დამცველებთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. უბილავამ.

მოხსენება თემაზე: „სანთლებად ანთებული უკვდავება“ გააკეთა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. მოწერელიამ.

ქალაქის ინტელიგენციის სახელით სტუმრებს მიესალმნენ განათლების განყოფილების გამგე, სამამულო ომის მონაწილე ა. ცხადაია, ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელი ქარხნის ზეინკალ-მემონტაჟე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. გვათუა და სხვ.

დამსწრეთ თავიანთი საბრძოლო ეპიზოდები მოუთხრეს საბჭოთა კავშირის გმირმა, გვარდიის გენერალ-პოლკოვნიკმა ი. ჩისტიაკოვმა, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირმა, გენერალ-ლეიტენანტმა ზ. სლესარენკომ და სხვებმა.

ამ დიდ ღონისძიებას ბევრი დაუსწრებლად მიესალმა, რომლებმაც ვერ მოახერხეს ფოთში ჩამოსვლა. დარბაზმა ტაშის ქუხილით მიიღო საბჭოთა კავშირის სამგზის გმირის ი. კოჟედუბის მისასალმებელი დეპეშა. დეპეშაში აღნიშნული იყო დიდი სიყვარული და პატივისცემა ქალაქ ფოთისადმი, ლეგენდარული გმირი გულთბილად იგონებდა თავის ფრონტელ მეგობარს, ომში გმირულად დაცემულ ვ. გაბუნიას.

სტუმრები გამოვიდნენ ნავსადგურსა და ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელ ქარხანაში შემდგარ სახელდახელო მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა სკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის აპრილის პლენუმის შედეგებს და სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად ახალი ვალდებულებების მიღებას, იყვნენ ქალაქის სკოლებში, № 12 პროფტექნიკურ სასწავლებელში, საზეიმო ვითარებაში გადასცეს კომკავშირული ბილეთები საკავშირო ალკკ რიგებში ახალმიღებულებს.

19 აპრილს სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს კომუნისტურ შაბათობაში.

**გ. ნოდია,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

**სურათზე:** (მარცხნიდან) საბჭოთა კავშირის გმირი, კონტრადმირალი თ. პახალჩუკი და საბჭოთა კავშირის გმირი ა. დანელია შაბათობაზე № 12 პროფტექნიკური სასწავლებლის ეზოში რგავენ ხეს.

რ. ღვამიჩავას ფოტო.

## ქუთაისი

ქალაქში ძლიერი ქარი ქროდა, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა ქუთაისის მშრომელებს ერთსულოვნად გამოსულიყვნენ კომუნისტურ შაბათობაზე.

ქალაქის 62 ათასი მშრომელი გამოვიდა სამუშაოდ. აქედან 23,4 ათასი უშუალოდ წარმოებაში იყო დასაქმებული პროდუქციის გამოშვებაზე. წინასწარი მონაცემებით ამ დღეს 1 მილიონ 300 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

მრავალი მშრომელი, განსაკუთრებით ბევრი ახალგაზრდობა გამოვიდა პარკების, სკვერების, გაზონების კეთილმოსაწყობად. მათ დაასუფთავეს ქუჩები, მოედნები, ეზოები, დარგეს ახალი ნერგები და ბუჩქები, გასხლეს ხეები ახალგაზრდობის პროსპექტზე საფუძველი ჩაეყარა ახალ სკვერს, რომლის ინიციატორები იყვნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სატყეო ტექნიკუმის სტუდენტები. ქუთაისის კულტურის მუშაკთა წარმომადგენლებმა გულმოდგინედ იშრომეს ბესიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის კეთილმოწყობაზე.

(საკ. კორ.).

## ზუგდიდი

წინა დღეს ქალაქში უამინდობა იყო. მაგრამ 19 აპრილს მზიანი ამინდი დადგა. სამრეწველო, სატრანსპორტო, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სავაჭრო და სხვა ობიექტების მუშა-მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ერთსულოვნად გავიდნენ ლენინურ შაბათობაზე. ამ დიდ ღონისძიებაში 15.700 კაცზე მეტმა მიიღო მონაწილეობა.

გეგმის გადამეტებით ორასი მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციის გამოშვებაში გუშინ თავისი წვლილი შეიტანა 6.300 მეტმა ზუგდიდელმა. სულ გამოშვებულია 162 ათას მანეთზე მეტი პროდუქცია და ხუთწლედის ფონდში გადარიცხულია 25.000 მანეთი. ორგანიზებულად იშრომეს ენგურჰესის მშენებლებმა, შაბათობაში 5.200 კაცი მონაწილეობდა და ხუთწლედის ფონდში 15.000 მანეთი შეიტანეს. ამ დღეს ენგურჰესელებმა კაშხალის ტანში 1.000 კუბმეტრი ბეტონი ჩაუშვეს, კეთილმოაწყვეს, გაამწვანეს, გაასუფთავეს დასახლების ტერიტორია.

ინგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატიდან 2.000 კაცი გამოვიდა შაბათობაზე, ხუთწლედის ფონდს მათ 1.880 მანეთი შესძინეს. მარტო გამწვანებასა, დასუფთავებასა და ხეების დარგვაზე 1.200 კაცმა იმუშავა. გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ ზუგდიდის მექანიკური კომბინატიდან შაბათობაზე 146 კაცმა იმუშავა, მათ 4.100 მანეთი გამოიმუშავეს და გარკვეული თანხა გადარიცხეს ხუთწლედის ფონდში.

(საკ. კორ.).

## მადნეული

ახალი სამრეწველო ცენტრის — მადნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს კომუნისტურ შაბათობაში. აქ, როგორც ცნობილია, წლის დასაწყისიდან ამოქმედდა კომბინატის პირველი რიგი, რომელიც უკვე მუშაობს სრული საპროექტო სიმძლავრით. შაბათობის მონაწილეებმა ერთხელ კიდევ შეამოწმეს დანადგარ-მოწყობილობის ტექნიკური გამართულობა, შეაკეთეს მწყობრიდან გამოსული დეტალები, მექანიზმები. მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი დასაქმებული იყო ფაბრიკის ტერიტორიის კეთილმოწყობაზე, სამუშაო უბნების წესრიგში მოყვანაზე.

ნაყოფიერად იმუშავეს ფაბრიკის მეორე რიგის მშენებლებმა, რომლებიც, როგორც ერთი კაცი, გამოცხადდნენ სამშენებლო ხარაჩოებზე.

როგორც პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. გიორგაძემ აღნიშნა, კომუნისტურ შაბათობაში რაიონის 20.000-ზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. გამომუშავებული თანხა — 15 ათასი მანეთი მათ მთლიანად გადარიცხეს ხუთწლედის ეკონომიურ ფონდში.

(საკ. კორ.).

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# გაუმჯობესდეს მგზავრთა მომსახურება რკინიგზის ტრანსპორტზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა, თუ როგორ სრულდება მის მიერ წინათ მიღებული გადაწყვეტილებები რკინიგზის ტრანსპორტზე მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების შესახებ. განხილულ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ ბოლო დროს ამიერკავკასიის რკინიგზაზე განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს მგზავრთა მომსახურების კულტურის ამაღლებას. მეცხრე ხუთწლედის დამლევისათვის დასახული მგზავრთა გადაყვანის მოცულობა მიღწეულია ვადამდე — 1974 წელს.

ამავე დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიიჩნევს, რომ რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტზე მგზავრთა გადაყვანის ორგანიზაციის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს. რკინიგზის (ამხანაგები გ. ქადაგიძე, ლ. ვარდოსანიძე, ა. ჩარკვიანი, გ. ქორქოლაძე), თბილისისა და სამტრედიის განყოფილებათა (ამხანაგები შ. ცინცაძე, კ. მგელაძე), სამმართველოს შესაბამისი სამსახურებისა და საწარმოების ხელმძღვანელობა სუსტად მუშაობს მგზავრთა მომსახურების კულტურის ამაღლების საკითხებზე, არ უზრუნველყოფს მუდმივ ქმედით კონტროლს მგზავრთა გადაყვანის ყველა უბანსადმი.

ბევრ შემთხვევაში ვაგზლებსა და ქალაქის სადგურებში კარგად არ არის ორგანიზებული ბილეთების გაყიდვა. თბილისის სამგზავრო, სოხუმის, სამტრედიისა და სხვა სადგურების ვაგზლებში აღმოფხვრილი არ არის ფაქტები, როცა ერთ ადგილზე ორ ბილეთს ჰყიდიან. უხეშად ექცევიან და ანგარიშში ატყუებენ მგზავრებს, სწორად არ აფორმებენ სამგზავრო დოკუმენტებს, დროზე არ აღებენ საბილეთო სალაროებს. სამმართველოს სამგზავრო სამსახურის (ამხ. შ. კორძაია) მუშაკები გადაჭრით არ იბრძვიან ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ.

ქუთაისის, რუსთავის, ქობულეთის, გურჯაანის, ფოთისა და სხვა სადგურების მთელი რიგი ვაგზლების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის. ჯერ კიდევ ხშირია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა.

ადგილებზე სამგზავრო მატარებლების, განსაკუთრებით საგარეუბნო მატარებლების რეისებისათვის სათანადო მომზადებას არ უზრუნველყოფენ სამმართველოს სავაგონო და სალოკომოტივო სამსახურების (ამხანაგები გ. ცქვიტინიძე, გ. ვაჩიბერიძე) მუშაკები. 1974 წელს შემოწმებული 7.683 სამგზავრო მატარებლიდან და 4.843 მოტორ-ვაგონის სექციიდან შესაბამისად 159 და 3.508 შემადგენლობა მომზადებული არ აღმოჩნდა სანიტარიული თვალსაზრისით.

სამართლიანია საყვედური გზაში მგზავრთა მომსახურების მდგომარეობის გამო. ხშირად ვაგონების გამცილებლები ნაკლებად ზრუნავენ მგზავრთა კომფორტისათვის, ბევრ შემთხვევაში მალავენ თავისუფალ ადგილებს.

რკინიგზის ხელმძღვანელობა, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯეროვნად არ იბრძვიან ყველგან დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის უბილეთო მგზავრების წაყვანისა და ზედმეტი ხელის ბარგის გადაზიდვის ფაქტები. უკიდურესად დაბალია დისციპლინის დონე მატარებლების ბრიგადებში.

სამმართველოს კადრების განყოფილების (ამხ. გ. ქორქოლაძე) სუსტი მუშაობის, არასაკმარისი ყურადღებისა და კონტროლის შედეგად ცუდი მდგომარეობა შეიქმნა კადრების, განსაკუთრებით მატარებლების გამცილებლების, მექანიკოს-ბრიგადირების, ბილეთის გამყიდველი მოლარეების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საქმეში.

ხშირად ამ თანამდებობებზე სახელგატეხილი პირნი მუშაობენ, რომლებიც ნდობას არ იმსახურებენ. სამეურნეო ერთეულების ხელმძღვანელები მგზავრთა მომსახურების სფეროში სუსტად აბამენ ქალებს, ახალგაზრდებს. დამაკმაყოფილებლად არ არის უზრუნველყოფილი რკინიგზის საწარმოები უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებით.

სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა საზოგადოებრივი კვების ქსელში.

მგზავრთა მომსახურების კულტურის მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ისიც ახდენს, რომ მთელი რიგი წლების განმავლობაში რკინიგზის ტექნიკურ აღჭურვას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა.

მგზავრთა გადაყვანის ორგანიზაციაში აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები იმის შედეგია, — ნათქვამია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, რომ შექმნილი მდგომარეობა არ აღძრავს ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელთა სათანადო შეშფოთებასა და წუხილს.

მგზავრთა მომსახურების კულტურის დონის ამაღლების საკითხებს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოთა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებიც. მგზავრთა მომსახურების კულტურის ამაღლების კონკრეტულ საკითხებს იშვიათად განიხილავენ პარტიულ კრებებზე, ბიუროების სხდომებზე და თუ განიხილავენ კიდეც, ეს განხილვა ფორმალურია.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები არ ახორციელებენ გადამწყვეტ ღონისძიებებს რკინიგზის ტრანსპორტზე მგზავრთა მომსახურებაში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სუსტად წარმართავენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას მგზავრთა მომსახურებასთან დაკავშირებულ რკინიგზელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად, კომუნისტთა ავანგარდული როლის გასაძლიერებლად, ადგილებზე საქმის მდგომარეობისათვის საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. სათანადოდ ვერ გავრცელდა ქარხანა „წითელი სორმოვოს“ ინიციატივა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გამოცდილება საგარეუბნო მატარებლებისადმი შეფობის საქმეში.

რკინიგზის სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობის საკითხებს იშვიათად აშუქებენ რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესაში, რადიო და ტელეგადაცემებში, ნაკლებად უწევენ პოპულარიზაციას მოწინავე საწარმოების, მგზავრთა მომსახურების სფეროს საუკეთესო მუშაკების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მის მიერ წინათ მიღებულ გადაწყვეტილებებს დამაკმაყოფილებლად არ ასრულებს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო. რკინიგზის სამმართველოს, თბილისისა და სამტრედიის განყოფილებათა ხელმძღვანელობის ყურადღება მიაპყრეს მგზავრთა მომსახურების კულტურის, მომსახურების სფეროს მუშაკთა შორის სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დაბალ დონეს, სამგზავრო და საგარეუბნო მატარებლების მოძრაობის არასაკმარისად ზუსტ ორგანიზაციას.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს დაევალათ განიხილონ სამსახურებისა და საწარმოების იმ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამის გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, თბილისისა და სამტრედიის განყოფილებების, საწარმოების ხელმძღვანელობას, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა გაზარდონ მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა ვაგზლებსა და სადგურებში სათანადო წესრიგის დამყარებისათვის. სარეისოდ მატარებლების მომზადების მაღალი ხარისხისათვის, მატარებლების ბრიგადების, საბილეთო მოლარეების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მგზავრთა გადაყვანასთან დაკავშირებული ყველა სამსახურის უთრო ზუსტი და აწყობილი მუშაობის უზრუნველყოფისათვის, სამგზავრო და საგარეუბნო მატარებლების მოძრაობის გრაფიკის ზუსტი დაცვისათვის, უბილეთო მგზავრების წაყვანისა და ზედმეტი ხელის ბარგის გადაზიდვის სრული ლიკვიდაციისათვის. მიაღწიონ იმას, რომ ამ მუშაობაში ჩააბან ფართო საზოგადოებრიობა, არ დატოვონ არცერთი დარღვევა, რომ მასზე სათანადო რეაგირება არ მოახდინონ, შექმნან სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებისადმი შეუწყნარებლობის ატმოსფერო, დასახონ და განახორციელონ კადრებთან მუშაობის ძირეული გაუმჯობესების, მათი შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ღონისძიებები.

რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოთა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს დაევალათ აამაღლონ მგზავრთა მომსახურებასთან დაკავშირებულ რკინიგზელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე. იბრძოლონ სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის. გააძლიერონ პარტიული კონტროლი ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, კომუნისტების, შრომითი კოლექტივების მეცადინეობა წარმართონ მგზავრთა მომსახურებაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. უზრუნველყონ სოციალისტურ შეჯიბრებაში მგზავრთა მომსახურების სფეროს მუშაკთა ფართო ჩაბმა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის შემდგომი განვითარება.

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს დაევალა წლეულს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის ტექნიკურ სკოლასთან არსებულ კურსებზე გაგზავნოს 500, მომდევნო წლებში კი 100-100 კომკავშირელი ქალი ვაგონების გამცილებლებად მათი მომზადებისათვის.

დადგენილება ბევრ სხვა ღონისძიებასაც ითვალისწინებს, რომელთა მიზანია რკინიგზის ტრანსპორტზე მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესება. (საქინფორმი).

# ზეგეგმითი. პროდუქცია

□

## სოხუმი

დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ჩატარდა შაბათობა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ამ სახალხო ლაშქრობაში ორასიათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის ნახევარზე მეტი წარმოებაში მუშაობდა, დანარჩენნი დასაქმებულნი იყვნენ კეთილმოწყობის სამუშაოებზე.

კომუნისტური შაბათობის დღეს აფხაზეთის სამრეწველო საწარმოებმა გამოუშვეს 810 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია, ხოლო დღიურმა გამომუშავებამ 220 ათას მანეთს გადააჭარბა, რომელიც მშრომელთა გადაწყვეტილებით მთლიანად გადაირიცხა მეცხრე ხუთწლედის ფონდში.

შაბათობის დღეს დაირგო ასი ათასამდე ძირი სხვადასხვა სახეობის მცენარე.

განსაკუთრებით დიდი ენთუზიაზმით იმუშავეს ინდუსტრიული ტყვარჩელის მშრომელებმა, რომლებმაც სადღეღამისო დავალების გადამეტებით ასი ტონა სათბობი ამოიღეს. სულ ტყვარჩელელმა მეშახტეებმა ხუთწლედის ფონდში 22 ათას 500 მანეთი გადარიცხეს. სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა 6 ათას 720 წყვილი ქალისა და კაცის ფეხსაცმელი გამოუშვა, ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ მუშაკებმა კი ორმოცდაცხრა ათასი მანეთის პროდუქცია დაამზადეს. ასევე მაღალნაყოფიერად იმუშავეს სოხუმის საკონსერვო, გაზის აპარატურის ქარხნების, ღვინის კომბინატის და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა. (საკ. კორ.).

□

## ბათუმი

აჭარაში ტრადიციულად არის დამკვიდრებული, რომ ერთსულოვნად გამოვიდნენ ლენინურ შაბათობაზე. ასე იყო 19 აპრილსაც.

ლენინურ შაბათობაში მონაწილეობა მიიღო 130 ათასამდე მშრომელმა, მათ შორის ქ. ბათუმიდან 42 ათასმა, ხოლო ქობულეთის რაიონიდან — 33 ათასმა მშრომელმა. შაბათობას მასობრივი ხასიათი ჰქონდა აჭარის სხვა რაიონებშიც.

ბათუმის სამრეწველო საწარმოების კოლექტივებმა, რომლებიც აჩაღებენ შეჯიბრებას სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ამ დღეს 420 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. ეს არის ბათუმური ელექტროკარები, ნავთობპროდუქტები, ჩაის ფაბრიკების აღჭურვილობა, ელექტროტექნიკური ნაწარმი, გაზქურები. გარდა ამისა შაბათობის მონაწილეებმა ხუთწლედის ფონდში გადარიცხეს 53 ათასი მანეთი.

ლენინურ შაბათობაზე დარაზმულად გამოვიდნენ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებიც. მათ ათეულ ათასობით ნაყოფისმომცემი და მარადმწვანე ხე დარგეს გზების ნაპირებზე, სხვა თავისუფალ ადგილებში. (საკ. კორ.).

## ერთსულოვნად

# ოპერის თეატრის მშენებლობაზე

კომუნისტური შრომის საერთო ზეიმს შეუერთდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივიც.

19 აპრილს დილის 9 საათიდან ოპერის სოლისტები, ბალეტი, გუნდი, ორკესტრი, ტექნიკური და ადმინისტრაციულ-სამხატვრო პერსონალი, ყველა მშენებლობაზე იყო. კოლექტივი ბრიგადებად დაიყო. ყველამ იცოდა ვის რა უნდა გაეკეთებინა და რომელ უბანზე. მკლავებდაკარწახებული სამშენ მასალას ეზიდებოდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები პ. ამირანაშვილი და ზ. ანჯაფარიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ნ. ანდღულაძე, ი. შუშანია, მ. ამირანაშვილი, თეატრის დირექტორი ი. ბერიძე, დირექტორ-განმკარგულებელი ა. შანიძე, მთავარი ბალეტმეისტერი გ. ალექსიძე, მთავარი რეჟისორი გ. ჟორდანია, მთავარი დირიჟორი გ. აზმაიფარაშვილი, ოპერისა და ბალეტის სახელმოხვეჭილი სოლისტები და რიგითი მსახიობები. ისინი ბარებით, ნიჩბებით, ასუფთავებდნენ და წესრიგში მოჰყავდათ სამუშაო ობიექტები.

12 საათზე, შესვენებისას, სწორედ იმ ადგილზე, სადაც მომავალი სცენა იქნება, სახელდახელო პოლიგონზე ამწეს საშუალებით დაუშვეს ფორტეპიანო. მომავალ იარუსებზე ხარაჩოებზე შეგროვდნენ მშენებლები, რომელთათვისაც გაიმართა კონცერტი. მშენებლებს მიესალმა და წარმატებები უსურვა თეატრის დირექტორმა, პროფესორმა ი. ბერიძემ.

თეატრის „დარბაზში“ პირველად გაისმა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ მუსიკა. კიაზოს არია დიდი მგზნებარებით შეასრულა საოპერო ხელოვნების ვეტერანმა პ. ამირანაშვილმა. მას მოჰყვნენ ზ. ანჯაფარიძე, ნ. ანდღულაძე, ი. შუშანია, ახალგაზრდა სოლისტები: ა. ფიოლია, რომელიც პირველად მღეროდა ამ დარბაზში, ჯ. მდივანი, ე. გეწაძე, ტ. ჭანტურია, ლ. ნადიბაიძე, ზ. ხორავა.

ფორტეპიანოს პარტია შეასრულეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ტ. დუნენკომ, ე. ლაზარევამ, კონცერტმაისტერებმა მ. ქურთოშვილმა, ლ. შაბანოვმა.

**ნათელა სვანიშვილი.**

**სურათზე:** ზემოთ — თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობები შაბათობაზე.

ხ. კილაძის ფოტო.



## ხუთწლედის ფონდში

# საკოლმეურნეო მინდვრებში

გუშინ ხუთასი მუშა-მოსამსახურე გამოვიდა სამუშაოდ ლენინურ შაბათობაზე მცხეთის რაიონის ნატახტრის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში. მათ 10 ჰექტარზე დათესეს ლობიო, ჩაატარეს ვენახის კულტივაცია, ნასხლავისაგან გაწმინდეს 18 ჰექტარი ფართობი.



**სურათზე:** ლობიოს თესვა ნატახტრის მერძევეობა-მებოსტნეობის მეურნეობაში.

გ. გოგოხიას ფოტო.

# გულგასახარიც და გულსატკენიც

**როგორ ემზადებიან გალის რაიონის მეჩაიეები წლევანდელი სეზონისათვის?**

გალის რაიონის ეკონომიკაში მეჩაიეობას დიდი ხვედრითი წონა აქვს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მთელი შემოსავლის 70–80 პროცენტს ჩაის წარმოებით მიღებული შემოსავალი შეადგენს. ამიტომაც შეიყვარეს რაიონის მშრომელებმა ეს კულტურა. გალელები წლეულს სამშობლოს 31 ათას ტონაზე მეტ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს მისცემენ. ეს კი სულ აფხაზეთში ჩაის წარმოების ნახევარზე მეტია.

აპრილის მეორე დეკადის პირველ დღეებში დამდგარმა ცივმა ამინდმა და წვიმამ რამდენიმე დღით გადასწია კრეფის დაწყების გრაფიკი, მაგრამ ჩაის ბუჩქები გამოღვიძებულია, ვეგეტაცია სწრაფად მიმდინარეობს და მოსალოდნელია შერჩევით კრეფა აპრილის ბოლო რიცხვებში დაიწყოს.

სწორედ ამ დღეებში ჩვენ დაინტერესდით გავეცნობოდით გალელ მეჩაიეთა მომზადებას კრეფის სეზონისათვის. ამ მხრივ საერთო მდგომარეობა ცუდი როდია. 7.277 ჰექტარზე რიგთა შორის დამუშავება დროულად შესრულდა, შეტანილია ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქები. ჩაის ბუჩქების შპალერული გასხვლა ჩატარდა 6.510 ჰექტარზე, მძიმე გასხვლა — 37 ჰექტარზე, ნახევრადმძიმე კი 32 ჰექტარზე. აპრილის მეორე დეკადაში შეუდგნენ აზოტის პირველი დოზის შეტანას. მთლიან ფართობზე ამ სასუქით გამოკვება 22 აპრილამდე უნდა დამთავრდეს. ამ საქმეში ჯერჯერობით ჩამორჩენაა. 15 აპრილისათვის ეს სასუქი შეტანილი იყო მხოლოდ 500 ჰექტარზე, გალელებმა ეს სამუშაო 6.500 ჰექტარზე სწრაფად უნდა დაამთავრონ.

სოფელ ღუმურიშის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ზუხბაია) ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულა. წლეულს 1.000 ტონა ჩაისათვის იბრძვიან.

ზემო ბარღების ჩაის საბჭოთა მეურნეობას (დირექტორი ნ. მაისურაძე) სამასი ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაცია აქვს, 100 ჰექტარზე მეტი ახალგაშენებულ პლანტაციებს უჭირავს. საზამთრო-საგაზაფხულო სამუშაოები აქ დროულად დაამთავრეს. მეურნეობაში სამექანიზაციო ფართობი 90 ჰექტარია. შარშან თორმეტი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ მუშაობდა. მაგრამ რენტაბელურად ვერ გამოიყენეს. საშუალოდ თვითეულ მანქანას მოკრეფილი აქვს 3,5 ტონა ჩაის ფოთოლი.

მეურნეობაში საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ მათი თხოვნა 3 „ჩ-900“ მანქანის მიცემაზე, არ სრულდება. უნდა აღინიშნოს, რომ 210 ჰექტარი პლანტაცია ხელით საკრეფია და მცირე მექანიზაციის დანერგვა უგულებელყოფილია. შარშან არც ერთი ხელით საკრეფი მანქანა არა ჰქონდათ და არც წლეულს ჩანს.

კარგად მოვლილი პლანტაციები აქვს სიდის ჩაის საბჭოთა მეურნეობას (დირექტორი მ. გერგედავა). გაბარვა, გასხვლა, სარეველებისაგან გაწმენდა, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების შეტანა აგროვადებში დამთავრდა, დაწყებულია აზოტოვანი სასუქების პირველი დოზის შეტანა. კიდევ ათიოდე დღე, და კრეფაც დაიწყება, გაჩაღდება დამკვრელური შრომა 820 ტონა ჩაისათვის.

მეურნეობის დიდ ფართობებზე გაშენებულია ჩაის ახალი პლანტაცია. ახლა იგი ორი-სამი წლისაა. კიდევ სამიოდე წელი, და ეს მშვენივრად გახარებული ჩაის ბუჩქები უხვ მოსავალს მისცემს მეურნეობას. შარშან მოგებამ 30.600 მანეთი შეადგინა, რენტაბელობის დონემ 36,9 პროცენტს მიაღწია.

ეს ყველაფერი კარგია. მეურნეობის კოლექტივი სიტყვას არ გატეხს და ახალ წარმატებას მოიპოვებს. მაგრამ აქ გაგვაცნეს გულსატკენი ფაქტებიც. თვით ადმინისტრაციის სამუშაო, შენობა უვარგისია, რემონტი არ შველის, ახლის აგებაა საჭირო. მეურნეობას წლეულს ასობით ტონა სასუქი სჭირდება. ნახევარი მიიტანეს და ისიც უვარგის ფიცრულში შეინახეს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ჯერ კიდევ 1973 წელს დაიწყეს სასუქის ორასტონიანი საწყობის აშენება, მის დამთავრებას კი საშველი არ დაადგა. დიდი ხანია დაწყებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახი ფარდულის მშენებლობა, მაგრამ დღემდე მხოლოდ სამი კედელია ამოყვანილი.

აღნიშნული ობიექტების მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტის № 11 მოძრავი მექანიზებული კოლონა, რომლის უფროსია ს. ესებუა. 50 ბავშვისათვის საბავშვო ბაღის მშენებლობა არც კი დაწყებულა. ეს კი ევალება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხაკაიას სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციას (უფროსი კ. კვირაია), რომლის სამშენებლო უბანი გალშია (უფროსი ი. ცატავა). ყურადღება არ ექცევა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობას.

დიხაზურგის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ჭ. კვირტია) პლანტაციები ძირითადად ფერდობებზეა გაშენებული. 131 ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაცია კარგად დაუმუშავებიათ. ბუჩქების ვეგეტაცია დაიწყო და ახლა შეაქვთ აზოტის პირველი დოზა. შარშანაც კარგად იმუშავეს დიხაზურგელებმა. მათ 865 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს ნაცვლად 725 ტონისა. წლეულს კი უფრო დაძაბული ვალდებულება იკისრეს. ეს არის 900 ტონის მოკრეფა. შარშან მოკრეფილ ნედლეულში 71,8 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. წლეულს ამ მაჩვენებელს უფრო აამაღლებენ.

დიხაზურგელები კრეფის დაწყებისათვის მზად არიან. საკმაოდ აქვთ საკრეფი კალათები, ნედლეულის გადასაზიდი ყუთები. როგორც შარშან, წლეულს ჩაის კრეფაზე იმუშავებენ საშუალო სკოლის (დირექტორი მადიშა გამსახურდია) მოსწავლეები. მათ შარშან 150 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, ამ სეზონში კოლმეურნეობას აღუთქვეს, რომ 200 ტონას მოკრეფენ. ამ საქმეს უხელმძღვანელებენ მასწავლებლები ვ. ძიგუა და ა. მარღანია.

ამ კოლმეურნეობის მშრომელებს ის აწუხებთ, რომ ვერ იქნა და ვერ მოგვარდა პირველი, მეორე და მესამე ბრიგადების მეჩაიეებისათვის პლანტაციაში ხაველე სასადილოს მოწყობა. ეს კი უნდა ითავოს გალის სოფლის კოოპერატივმა (თავმჯდომარე ა. შონია). წინათ სოფელში პურის საცხობი იყო, იგი გააუქმეს და ახლა გამომცხვარ პურს გალიდან ღებულობენ, მაგრამ იშვიათად. არა აქვთ საბავშვო ბაგა-ბაღი. სოფელში დიდიხანია რადიო დადუმდა.

როცა მოსაგვარებელ საკითხებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მეტად მტკივნეულ პრობლემებს, რასაც ადგილი აქვს ხუმუშქურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. მისმა დირექტორმა ა. ქავთარაძემ გულახდილად გვითხრა, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ დავალებათა შესრულებისათვის, მაგრამ გამოდის, რომ ზოგჯერ მეურნეობა აურაცხელ შრომას, ხარჯებს უშედეგოდ ეწევა. ეს მეურნეობა 1963 წელს შეიქმნა, მას 2.453 ჰექტარი მიწის ფართობი უჭირავს. სამწუხაროდ, ეს ფართობი დაშრობილად ითვლება. აქაური ნიადაგები დიფერენცირებულ მიდგომას, ამ საფუძველზე სრული აგროტექნიკური კომპლექსის განხორციელებას მოითხოვდა. ეს არ გაკეთებულა და ამის შედეგად ჩაის პლანტაციის დიდი ნაწილი ჭაობშია ჩაფლული.

1963–1970 წლებში გაშენებულ ჩაის პლანტაციებში სრული აგროტექნიკური ღონისძიებანი არ განხორციელებულა, რამაც განაპირობა 251 ჰექტარი პლანტაციის დაღუპვა. დადგენილია, რომ კოლექტორები მოქცეულია მინდორსაცავი ზოლების გარეთ, მთელი ტერიტორია დაყოფილია დიდ კონტურებად, წყალშემკრები არხი შიდაქსელზე მაღალია. ამის გამო წყალი არ იწრიტება, ჩაის პლანტაციების ნაწილი ჭაობშია და იღუპება.

ამ გულსატკენი ფაქტების გაცნობის შემდეგ ვეწვიეთ აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმს, რომელსაც გამოცდილი სამეურნეო მუშაკი გ. შერვაშიძე ხელმძღვანელობს. აქ წლების მანძილზე გასახარი შედეგები აქვთ. შარშან მოკრიფეს 3.600 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. ყურადღება გამახვილებულია მექანიზაციის რაც შეიძლება უფრო ფართოდ დანერგვაზე. მეურნეობაში 120 ჰექტარი სამექანიზაციო ფართობია. შარშან მანქანებით მოიკრიფა 600 ტონაზე მეტი. წლეულს მექანიზატორები სეზონისათვის მზად არიან. აქვთ 18 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ და 5 „ჩა-900“.

შარშან აქ ივნისში შეუდგნენ ხელის საკრეფი მანქანებით მუშაობას. ასეთი 58 მანქანა მუშაობდა. ყურადსაღებია ის, რომ საშუალოდ ერთმა მანქანამ სეზონში მოკრიფა 12 ტონა ჩაის ფოთოლი, ამ მანქანას დაუფლებული კარგი მეჩაიე კი 12–15 ტონასაც კრეფს. ჩაის კრეფაზე წლეულს 100 ასეთი მანქანა იმუშავებს. კარგ შედეგებს მიაღწიეს ამ მანქანებზე მომუშავეებმა ბ. ჭკადუამ, დ. ჯიგანიამ, შ. სარიამ და მრავალმა სხვამ.

ჩაის ნედლეულის გადამუშავებისათვის კარგად ემზადებიან რაიონის ჩაის ფაბრიკები. გალის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანება, თვითეული ჩაის ფაბრიკა უკანასკნელად ამოწმებენ შესრულებულ სამუშაოებს, ასწორებენ დეფექტებს. გალის № 1 ჩაის ფაბრიკაში (დირექტორი ლ. ზუხუბაია, მთავარი ტექნოლოგი გ. ბებუა) დროულად შეკეთდა 3 საღნობ-საფიქსაციო აგრეგატი, 32 ჩაის საგრეხი როლერი, 7 სახმობი ღუმელი, 2 ნახევარფაბრიკატის დამხარისხებელი მანქანა და სხვ. სახმობ საამქროში გაკეთდა ცხელი ჰაერის გამომწოვი შახტი, ინერგება ნახევარფაბრიკატის დახარისხების ახალი სქემა.

ჩაის კრეფის სეზონისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ფაბრიკების მზადების მდგომარეობის საკითხი ამ დღეებში განიხილა პარტიის გალის რაიკომის ბიურომ, რომელმაც დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ყველა უბანზე გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად.

გალის რაიონის მეჩაიეებმა, მექანიზატორებმა, პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა ამთავითვე უნდა იზრუნონ ამ გულსატკენ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, დამკვრელური შრომით წლეულს სასახელოდ შეასრულონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

**ნ. ჯანჯღავა,**
**ი. გოგეჩია,**
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.



# აღორძინებისა და განახლების წლები

## საბჭოთა სამხრეთ ოსეთი 53 წლისაა

ორმოცდაცამეტი წელი გავიდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის დღიდან. განვლილი პერიოდი არც თუ ისე დიდია, მაგრამ სამხრეთ ოსეთის მშრომელებისათვის იგი მეტად დამახასიათებელი და მრავლისმთქმელია. ამიტომ ავტონომიური ოლქის მშრომელები ამ თარიღს დიდი სიამაყით, პატრიოტული გრძნობით, ჩვენი ლენინური პარტიისადმი ღრმა პატივისცემით აღნიშნავენ.

სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა თავიანთი ბედი ადრევე დაუკავშირეს ქართველი ხალხის ყოფასა და ცხოვრებას, ისინი საქართველოს მუშათა კლასთან, რუსეთის რევოლუციურ პროლეტარიატთან ერთად მიდიოდნენ მეფის თვითმპყრობელობისა და მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ საიერიშოდ.

წლები გავიდა. ისტორიის მოკლე პერიოდში უდიდესი სოციალური და ეკონომიური ძვრები მოხდა სამხრეთ ოსეთში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე დაიწყო ამ ჩამორჩენილი კუთხის ეკონომიური და კულტურული აღორძინება და აყვავება. ხუთწლედი ხუთწლედს მოსდევდა და მდგომარეობა სამხრეთ ოსეთში სულ უფრო უკეთესი ხდებოდა. მალე გამოჩნდა ინდუსტრიის პირმშოები — ფაბრიკები და ქარხნები, შეიქმნა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, დაიწყო ადამიანთა კოლექტიური შრომა. დასახული გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში სამხრეთ ოსეთის მშრომელები განუხრელად გრძნობდნენ ქართველი ხალხის დახმარებას და მხარდაჭერას.

დიდმა სამამულო ომმა თვალნათლივ დაადასტურა, თუ რაოდენ ძლიერია ხალხთა მეგობრობის, ძმობის, ურთიერთგაგებისა და დახმარების ძალა. სამხრეთ ოსეთის შვილები ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

დიახ, წინ წავიდა სამხრეთ ოსეთი, ახლა ჩვენთან პროდუქციას უშვებენ დიდმნიშვნელოვანი საწარმოები: ქარხანა „ემალსადენი", „ელექტროვიბრომანქანა", ავტობუსების შემკეთებელი და მექანიკური ქარხნები, ხე-ტყის კომბინატი, კვაისის ტყვია-თუთიის საბადო და სხვები. სამხრეთ ოსეთში დამზადებული ელექტროვიბრომანქანები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იგზავნება. საწარმოები უკვე რამდენიმე წელიწადია პირნათლად ანაღდებენ გეგმებს. წლევანდელი წლის პირველ კვარტალში მარტო ქ. ცხინვალში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 342 ათასი მანეთის პროდუქცია, საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმაც.

უკანასკნელ ხანებში ჩვენს რესპუბლიკაში გაიშალა ლაშქრობა გეგმის გადამეტებით 200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისათვის. სამხრეთ ოსეთი იბრძვის სამშობლოს მისცეს 1.810.000 მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია. ჩვენმა სახელოვანმა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა წლევანდელი წლის პირველ კვარტალში უკვე გამოუშვეს 780 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია — ნაკისრი ვალდებულების თითქმის ნახევარი. გეგმის შესრულებისათვის ბრძოლა კი დღითიდღე ძლიერდება.

დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობაშიც. ეს ცვლილებები განსაკუთრებით საგრძნობია ახლა, როცა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებს ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში. წლების განმავლობაში ირღვეოდა პარტიული მუშაობის ლენინური ნორმები და მეთოდები, იყო ნეგატიური მოვლენები, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტები. პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტებას მოჰყვა ჩამორჩენა, დიდი ხარვეზები და ჩრდილოვანი მხარეები ოლქის სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში. მეცხრე ხუთწლედის პირველ წლებში ვერ სრულდებოდა სახელმწიფო დავალებები კაპიტალური მშენებლობის დარგში, უყაირათობა და მფლანგველობა იყო გამეფებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. შრომის დისციპლინის მოშლამ, ყალბი კეთილდღეობის ატმოსფერომ ბევრად დააქვეითა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა.

ამგვარი დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში გაჩაღდა უკანასკნელ წლებში, დღესაც მტკიცე შემტევი ხასიათისაა. ნაკლოვანებების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო. როგორც შარშან, ისე წლეულს პირველ კვარტალში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში. სოციალისტური ვალდებულების გადამეტებით მიღებულია ათობით ტონა ხორცი, რძე. ოლქის ყველა რაიონმა მნიშვნელოვნად გაზარდა წველადობის მაჩვენებელი საფურავე ძროხაზე.

ორგანიზებულად მიმდინარეობს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. დიდი ყურადღება ეთმობა მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ხილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდებას. ოლქში აღიზარდნენ მეჭარხლეობის საუკეთესო ოსტატები, რომლებიც წლეულს ამ კულტურის უხვ მოსავალს გვპირდებიან. მეჭარხლეთა შეჯიბრებაში წინ არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ზნაურის რაიონის სოფელ მუგუთის კოლმეურნეობის წევრი ს. ბესთაევი, საუკეთესო მესიმინდეები, მეხილეები და მეჭარხლეები შრომობენ ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობაშიც. სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 1975 წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 262.400 მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ამ ვალდებულების განაღდებისათვის ბრძოლა უკვე მთელი ძალით გაიშალა. წლეულს ჩვენ პატარა ლიახვის ხეობაში გავხსნით მსხვილფეხა პირუტყვის გასასუქებელ პუნქტს 3000 სულისათვის. საკვებად უხვად გამოვიყენებთ ამ ხეობის ალპურ და სუბალპურ საძოვრებსა და სათიბებს. უკვე დაიწყო სამუშაოები ამ საქმის მოსაგვარებლად.

ოლქისათვის დიდმნიშვნელოვანი იქნება მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელიც ცხინვალის რაიონის სოფელ ძარწემთან შენდება. ოლქის, აგრეთვე ცხინვალის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ ცხინვალის მეფრინველეობის ფაბრიკა ივნისში ჩადგეს მწყობრში.

სოციალიზმის მშენებლობა კულტურულ რევოლუციად გადაიქცა. გადაიჭრა უწიგნურობის პრობლემა. სისტემატურად იზრდება სამეცნიერო კადრების რიცხვი. ღრმავდება მათი ცოდნა და კვალიფიკაცია. მარტო სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევ და პედაგოგიურ ინსტიტუტებში 80-მდე მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი მუშაობს. დიდ წარმატებებს მიაღწია ოსურმა ლიტერატურამ, ხელოვნებამ, ოსი მწერლების ნაწარმოებთა დიდი ნაწილი თარგმნილია რუსულ და ქართულ ენებზე, ზოგის ნაწარმოებს კი უცხოეთშიც კითხულობენ. ასევე მოძმე ხალხთა მწერლების ქმნილებები სისტემატურად ითარგმნება ოსურ ენაზე. იზრდება სასოფლო კლუბების, ბიბლიოთეკებისა და კულტურის სხვა კერების რიცხვი.

ახალი, დიდი ამოცანებია დასახული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ", რომლის განხორციელებისათვის ოლქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები თვალსაჩინო მუშაობას ეწევიან.

სამხრეთ ოსეთის მშრომელები ქართველ ხალხთან ერთად აქტიურ შემოქმედებითს შრომას ეწევიან იმისათვის, რომ სასახელოდ შეხვდნენ სკკპ XXV ყრილობას, ახალი წარმატებებით აღნიშნონ ფაშიზმზე ჩვენი გამარჯვების 30-ე წლისთავი, ორგანიზებულად მოემზადონ საბჭოების არჩევნებისათვის. ისინი იმისათვის შრომობენ, რომ პირნათლად გაანაღდონ ამოცანები, რომლებიც მათს წინაშე დასახულია პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრისა და 1975 წლის აპრილის პლენუმების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების მიერ დასახული ღონისძიებებით.

**ფ. სანაკოევი,**
საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

## სოფელს —
# სანიმუშო ვაჭრობა

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციებმა წლევანდელი წლის პირველ კვარტალში მთლიანად საქონელბრუნვის გეგმა 101,9 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით მოსახლეობას 3.979 ათასი მანეთის საქონელი მიეყიდა.

ღსანიშნავია, რომ საქონელბრუნვის გეგმები პირველი კვარტალის ყველა თვეში შესრულდა. მარტო მარტში გეგმის გადამეტებით 1.299 ათასი მანეთის საქონელია გაყიდული.

ამასთან ზოგიერთმა კოოპერაციულმა ორგანიზაციამ მოუქნელი მუშაობით მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი საერთო კარგი მაჩვენებლების მოპოვებას. გეგმების შესრულებაში ჩამორჩნენ ახალქალაქის, გარდაბნის რაიკოოპკავშირები, ვანის, კასპის, ლენტეხის, საჩხერის, ჭიათურის რაიკოოპერატივები.

პირველი კვარტალის გეგმის უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებას ხელი შეუშალა იმან, რომ სისტემის საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმა მხოლოდ 99,4 პროცენტით შესრულდა, საკუთარი პროდუქციის გამოშვების დავალება კი — 99,5 პროცენტით.

საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ აფხაზეთის სამომხმარებლო კავშირის (ლ. არძინბა), სამხრეთ ოსეთის (მ. ბასიკაშვილი), ახალქალაქის (დ. ბაგრატუნი), მახარაძის (ე. სურგულაძე), აბაშის (გ. ქოიავა), ვანის (ლ. მამფორია), საჩხერის (გ. მაისურაძე), ქარელის (გ. თხელიძე), წალენჯიხის (გ. კვარაცხელია), ხონის (გ. არჩაია) კოოპორგანიზაციები. ამასთან სისტემის 25-მა კოოპორგანიზაციამ ჩაშალა საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმა.

აღსანიშნავია, რომ ცეკავშირის სისტემის ბევრმა ადგილობრივმა ორგანიზაციამ განსაკუთრებით ცუდად იმუშავა კვარტალის უკანასკნელ თვეში — მარტში. ბევრმა მათგანმა არა თუ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები, არამედ საქონელბრუნვის საკუთარი გეგმებიც კი ვერ გაანაღდა. ასე მოიქცნენ, მაგალითად, ახალქალაქის, გარდაბნის, ბორჯომის, ვანის, თელავის, მაიაკოვსკის, ტყიბულის, ქარელის რაიკოოპორგანიზაციები.

რა თქმა უნდა, გეგმების შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობა აშკარად უპასუხისმგებლოდ მოეკიდა მინდობილ საქმეს. ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლას, რის შედეგადაც ქსელში შეტანილია ისეთი საქონელი, რომელიც არ იყიდება. ეს კი მძიმე ტვირთად აწევს კოოპორგანიზაციების მთელ მუშაობას. ბევრგან მოისუსტებს შრომისა და საწარმოო დისციპლინა, ნაკლებად ზრუნავენ შეჯიბრების საჯაროობისათვის, მოწინავეთა წახალისებისა და ჩამორჩენილთა შერცხვენისათვის. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ გეგმების შეუსრულებლობა დანაშაულია.

## მოსკოვში ჩამოვიდა ისმაილ ფაჰმი

19 აპრილს მოსკოვში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ისმაილ ფაჰმი.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე ი. ფაჰმის და მის თანმხლებ პირებს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

## საბჭოთა მატარებელი რაკეტით გაუშვეს პირველი ინდური თანამგზავრი

ინდოეთის რესპუბლიკის კოსმოსური კვლევის ორგანიზაციისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერული თანამშრომლობის შეთანხმების შესაბამისად 1975 წლის 19 აპრილს საბჭოთა კავშირში საბჭოთა მატარებელი რაკეტის საშუალებით გაუშვეს პირველი ინდური დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი.

ინდური თანამგზავრი, რომელსაც დაარქვეს V საუკუნის ინდოელი ასტრონომისა და მათემატიკოსის არიაბათის სახელი, აწარმოებს კვლევას რენტგენული ასტრონომიის დარგში, მზის ნეიტრონული და გამა გამოსხივების რეგისტრაციას და იონოსფეროში გაზომვას ნაწილაკების ნაკადებსა და რადიაციას.

თანამგზავრის გასაშვებად მომზადებაში მონაწილეობდნენ ინდოეთის რესპუბლიკის სპეციალისტები.

თანამგზავრის ფრენას მართავს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის სპეციალისტთა ოპერატიული ჯგუფი.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

ინდური თანამგზავრიდან სამეცნიერო ინფორმაციას იღებენ დედამიწისზედა სადგურები საბჭოთა კავშირსა და ინდოეთის რესპუბლიკაში.

(საკდესი).

## დაიწყო მოგზაურობა საბრძოლო დიდების ადგილებში

მოსკოვი, 17 აპრილი. (საქინფორმის კორ.). დღეს აქ ტურისტული მატარებლით ჩამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა 1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა ჯგუფი — 200 ქალი.

შემთხვევითი როდია, რომ სწორედ მოსკოვიდან — ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქიდან დაიწყეს საბრძოლო დიდების ადგილების დათვალიერება საქართველოს წარგზავნილებმა, რომელთა შორის არის ოცდაათამდე სოციალისტური შრომის გმირი, ორმოცდაათზე მეტი დიდი სამამულო ომის ვეტერანი, 135 მევენახე, მეჩაიე, მეციტრუსე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგების მუშაკი.

მოგზაურობის მონაწილენი იყვნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში, დაათვალიერეს მოსკოვის ღირსშესანიშნავი ადგილები, კრემლი და მისი მიდამოები, ვ. ი. ლენინის მუზეუმი. შემდეგ ტურისტული დელეგაცია წავიდა ლენინგრადში, სადაც ორ დღეს დარჩა.

ლენინგრადში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები იყვნენ სმოლნში, დაათვალიერეს ქალაქის ისტორიული, არქიტექტურული ძეგლები, კრეისერი „ავრორა", პისკარიოვკის მემორიალური სასაფლაო, სადაც წუთიერი დუმილით სცეს პატივი ლენინგრადის ლეგენდარულ დამცველთა ხსოვნას და გვირგვინით შეამკეს დედა-სამშობლოს მონუმენტი.

19 აპრილს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ლენინურ კომუნისტურ შაბათობაში. ვარშავის ვაგზლის სკვერებში ისმოდა ქართული სიმღერები. სახელოვანმა მშრომელებმა თავიანთი მზრუნველი ხელით კიდევ უფრო დაამშვენეს ვაგზლისპირა ტერიტორია.

გვიან ღამით ტურისტული მატარებელი გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში გაემართა.

მოსკოვის უნივერსიტეტის დღეები თბილისში

# ორი უნივერსიტეტის მეგობრობა

საბჭოთა უმაღლესი სკოლის მიღწევებზე რომ ლაპარაკობენ, პირველ რიგში მხედველობაში აქვთ ჩვენი ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა შორის სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს. უდიდესი სიყვარული, პატივისცემა და მოწიწება, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ მოსკოვის უნივერსიტეტს მოუტანა იმ მნიშვნელოვანმა მისიამ, რომელსაც იგი ასრულებს საბჭოთა მეცნიერების, მთელი ჩვენი უმაღლესი სკოლის განვითარებისა და წინსვლის საქმეში. ძნელად თუ მოიძებნება ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო დაწესებულება, უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიც მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი არ მოღვაწეობდნენ.

დიდია მოსკოვის უნივერსიტეტის წვლილი ქართული მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების განვითარების საქმეში. ჯერ კიდევ 1755 წელს, როდესაც მ. ვ. ლომონოსოვის ინიციატივით მოსკოვში უნივერსიტეტი დაარსდა, მასთან არსებულ მოსამზადებელ გიმნაზიაში მიუბარებია ვახტანგ VI-ის შვილს ბაქარს თავისი ვაჟები ლევანი და დავითი. მათ, როგორც ჩანს, თავი გამოუჩენიათ მომზადებითა და სწავლით, ყოველი შემთხვევისათვის ლევანს უნივერსიტეტის მემატიანე საუკეთესო სტუდენტთა შორის იხსენიებს. აქედან მოყოლებული მოსკოვის უნივერსიტეტი მრავალ ქართველ ახალგაზრდას დაუმთავრებია. ზოგიერთ მათგანს შემდგომ თვით უნივერსიტეტის პროფესორის საპატიო ადგილიც კი დაუკავებია. მათ შორის უნდა დავასახელოთ პროფესორები: ნიკოლოზ ზანდუკელი (1769-1832), ილია ქართველიშვილი (1781-1813), იური ღამბარაშვილი (1850-1926), პრივატ-დოცენტი, ალექსანდრე ხახანაშვილი (1866-1912) და სხვ. კიდევ უფრო მეტია იმათი რიცხვი, ვინც მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოს მოაშურა და მთელი თავისი ცოდნა და ენერგია მშობლიური ხალხის სამსახურს მოახმარა.

მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლა ქართველი ახალგაზრდობისათვის მხოლოდ ცოდნის ამა თუ იმ სფეროს დაუფლება როდი იყო. აქ ისინი ეზიარებოდნენ პროგრესულ მიმართულებებს აზროვნებასა და კულტურაში, სისტემატურად ხვდებოდნენ რუსი ინტელიგენციისა და სტუდენტობის საუკეთესო წარმომადგენლებს. მოსკოვის უნივერსიტეტში ხომ მრავალი ცნობილი რუსი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე სწავლობდა და მუშაობდა. ამის ნათელსაყოფად დ. ფონვიზინის, ა. გრიბოედოვის, მ. ლერმონტოვის, ი. ტურგენევის, ა. ჩეხოვის, კ. უშინსკის, ა. გერცენის, ვ. ბელინსკის, ნ. ჟუკოვსკის, კ. ტიმირიაზევის სახელთა ჩამოთვლაც კმარა. მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდნენ ცნობილი რევოლუციონერები: დ. ი. ულიანოვი, ა. ფ. მიასნიკოვი, ა. გ. წულუკიძე, ლ. ი. კურსკი და სხვ.

ქართული უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ განსაკუთრებით საგრძნობი გახდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის რუსეთის, პირველ რიგში პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტში მომზადებულ სპეციალისტთა მონაწილეობას ქართული უმაღლესი განათლების ორგანიზაციის საქმეში. ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა უფროსი თაობის მრავალ წარმომადგენელს მოსკოვის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, მათ შორის ალექსანდრე ჯავახიშვილს, ალექსანდრე თვალჭრელიძეს, სერგი დანელიას, ანდრია რაზმაძეს, მიხეილ ზანდუკელს, სიმონ ხუნდაძეს და სხვ. 1918 წლიდან დღემდე მუშაობს თბილისის უნივერსიტეტში გამოჩენილი პედაგოგი და მეცნიერი არჩილ ხარაძე, რომელსაც მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენს ქვეყანაში შექმნა უმაღლესი განათლების განვითარების სავსებით ახალი შესაძლებლობანი, ფართო გზა გაუხსნა ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მილიონობით ახალგაზრდას უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტებისაკენ. დღეს ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას შეუძლია იამაყოს მიღწევებით მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სფეროში, აქვს საშუალება თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების საქმეში. ამ ვითარებაში ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება განუხრელ ზრუნვას უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერების ახალი მიმართულებების დანერგვაზე, სწავლებისა და კვლევის დონის ამაღლებაზე, მუშაობის წარმართვაზე თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად. ყოველივე ამის განხორციელება კი დაუყოვნებლივ უნდა ჰპოვონ ასახვა საუნივერსიტეტო სწავლებაში, ხოლო მათი შემოღება მოითხოვს სათანადო კომპეტენციისა და მომზადების მქონე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს. და თუ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს ამ ამოცანას პირნათლად ართმევს თავს, ამაში უთუოდ საგრძნობია წვლილი იმ დახმარებისა, რასაც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი გვიწევს ჩვენ ცალკეულ, ახალ დარგებში სპეციალისტთა მომზადების საქმეში. მეცნიერების განვითარების ინტერესები მოითხოვს ამ თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებასა და განვითარებას. სწორედ ამ მიზანს ისახავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსკოვის უნივერსიტეტის დღეების ჩატარება, რომელთა გახსნა მოხდება ხვალ უნივერსიტეტის ახალ სასწავლო დარბაზში.

დღეებში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა დელეგაცია მოსკო-



შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ არსებობდეს უმაღლეს სასწავლებელთა შორის ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთდახმარების ტრადიცია, რომელიც ასე მყარად დამკვიდრებულია ჩვენს ქვეყანაში. ამ მხრივ ის მისია, რომელსაც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასრულებს, შეიძლება ითქვას, მართლაც სანიმუშოა. იგი უმზადებს ჩვენი ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს ეროვნულ კადრებს მეცნიერების ისეთ დარგებში, რომლებიც ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის განვითარებული ამა თუ იმ რესპუბლიკაში.

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამგვარ დახმარებას, ამას გრძნობს ჩვენი ქვეყნის ყველა უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც. ის მსოფლიო სახელი და ავტორიტეტი, რომელიც ჩვენმა უნივერსიტეტმა მოიპოვა თავისი არსებობის ჯერ თუ ისე ხანგრძლივი დროის განმავლობაში, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. თბილისის უნივერსიტეტის წინაშე ისმის საკმაოდ რთული ამოცანა. იგი უნდა იდგეს მსოფლიოს საუკეთესო უმაღლეს სასწავლებელთა დონეზე, ეს კი იმას გულისხმობს, რომ მეცნიერების თვითეული დარგი, თვითეული დისციპლინა ჩვენთან წარმოდგენილი იყოს თანამედროვე მოთხოვნილებათა სიმაღლეზე. ამის გაკეთება დღეს, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ესოდენ მძლავრი აღმავლობის პირობებში, მეტად ძნელი საქმეა. სისტემატურად იქმნება ახალი დარგები, ახალი მიმართულებანი მეცნიერებაში, რომელთაც ვის უნივერსიტეტის რექტორის აკად. რ. ვ. ხოხლოვისა და პარტიული კომიტეტის მდივნის ვ. ა. პროტოპოპოვის ხელმძღვანელობით. ამ დღეებში ჩვენი სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები კიდევ უფრო მეტს შეიტყობენ მოსკოვის უნივერსიტეტის აწმყოსა და მომავალზე, უნივერსიტეტისა, რომელშიც ამჟამად 27 ათასი სტუდენტი, 5 ათასამდე ასპირანტი და კათედრაზე მიმაგრებული პრაქტიკული მუშაკი სწავლობს, 7.500-მდე პროფესორი მოღვაწეობს, უნივერსიტეტისა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ბაზებით, ლაბორატორიებით, რომელსაც კავშირი აქვს საზღვარგარეთის 1.000-მდე უმაღლეს სასწავლებელთან. თავის მხრივ ჩვენს სტუმრებს საშუალება ექნებათ სრული წარმოდგენა მიიღონ თბილისის უნივერსიტეტზე, მის ხვალინდელ დღეზე.

მოსკოვის უნივერსიტეტის დღეები თბილისში იმ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა კიდევ ერთი თვალსაჩინო შედეგი იქნება, რომლებსაც პარტია ატარებს ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფისა და განვითარების მიმართულებით. ეს იქნება კიდევ ერთი ფურცელი ჩვენი უნივერსიტეტების, რუსი და ქართველი ხალხების ურყევი მეგობრობის მატიანეში.

**რ. გორდეზიანი,**
დოცენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

* * *

სურათზე: მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

# მსოფლიო დღეს

## ზეიმი პოლონეთში

ვარშავა, 18 აპრილი. (საკდესი). სოციალისტური პოლონეთის მშრომელები საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 30 წლისთავს. ამ წლისთავისა და საბჭოთა კულტურის დღეების პოლონეთში მიძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც დღეს გაიმართა ვარშავის ოპერისა და ბალეტის დიდი თეატრის დარბაზში.

სხდომას ესწრებოდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გ. იაბლონსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. იაროშევიჩი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პ. ე. დემიჩევის მეთაურობით.

სიტყვა წარმოთქვა პ. იაროშევიჩმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის, მთელი საბჭოთა ხალხის და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სახელით მხურვალედ მიესალმა და ძმური მეგობრობა აღუთქვა შეკრებილთ და მათი სახით მთელ პოლონელ ხალხს.

საზეიმო სხდომის დასასრულს გაიმართა დიდი საღამოსასწავლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოეთის მრავალეროვნული ხელოვნების წარმომადგენლები — საუკეთესო მხატვრული კოლექტივები და სოლისტები.

ეს საინტერესოა

## აუღებელი ციხე-სიმაგრე

კოლომბო, 19 აპრილი. (საკდესი). სიგირია შრი ლანკის რესპუბლიკის მსოფლიოში სახელგანთქმული კულტურულ-ისტორიული ძეგლია. აქ, კუნძულის ცენტრში, მაღალი კლდის მწვერვალზე აღმართულა ძველი სინგალის ერთ-ერთი მეფის კასაპას ციხე-სიმაგრე, რომელიც აუღებლად მიაჩნდათ. ახლა მისი ნანგრევები, სადაც შემორჩა დიდებული ფრესკები, იზიდავენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსულ ტურისტებს.

მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ ხელოვნებისა, ძველი სიგირიის მხატვრებისა და ხუროთმოძღვრების თაყვანისმცემლებს მოულოდნელი მტრები გაუჩნდათ — ცაცაბო კლდის ფერდობებზე ბინადრობენ ველური ფუტკრები, რომლებსაც აღიზიანებს ადამიანის ხმა, ტრანზისტორული მიმღების ხმაური და თავს ესხმიან ტურისტებს, არ უშვებენ ციხე-სიმაგრისაკენ.

გადაწყვიტეს თავიდან მოიშორებინათ ველური ფუტკრები, მაგრამ ამას მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს ახლომახლო სოფლების გლეხებმა. როგორც მორწმუნე ბუდისტებს, გზვრა გარდასახვა და მიგვაჩნია, რომ ციხე-სიმაგრის ნანგრევებს იცავენ კასაპას მეომრები, რომლებიც ფუტკრებად გადაიქცნენ, განაცხადეს გლეხებმა.

დავა გრძელდება, ციხე-სიმაგრე კი, ისევე როგორც უძველეს დროში, კვლავ აუღებელია.

საკდესი

## ტელეტაიპის ლენტიდან...

19 აპრილი

ჟენევა. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მეორე ეტაპის სამუშაო ორგანოებში გრძელდება დღის წესრიგის სხვადასხვა პუნქტის გამო ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ტექსტების შეთანხმება. ახლა აქტიურად განიხილავენ იმასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომ პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას უნდა დაემატოს სამხედრო დაძაბულობის შენელება.

თათბირის მთავარი ორგანოს, საკოორდინაციო კომიტეტის მორიგ სხდომაზე განაგრძეს მსჯელობა მესამე ეტაპის მოწვევასთან დაკავშირებული საკითხების, აგრეთვე თათბირის დასკვნითი დოკუმენტების ფორმის განხილვა.

ლონდონი. ინგლისის ფოლადსამსხმელო მრეწველობის 10.000-მდე მუშა და მოსამსახურე მალე დაკარგავს სამუშაოს. ეს განაცხადა ბრიტანეთის მეტალურგიული კორპორაციის („ბრიტიშ სტილ კორპორეიშენის") წარმომადგენელმა.

ბონი. დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობის 1000-ზე მეტმა წარმომადგენელმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სწრაფად და წარმატებით დამთავრებას უმაღლეს დონეზე.

მათ აღნიშნეს, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ კონსტრუქციული წვლილი უნდა შეიტანოს ვენის მოლაპარაკებაში ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ.

კოლომბო. შრი ლანკის რესპუბლიკამ ცნო ეროვნული ერთობის სამეფო მთავრობა, როგორც კამბოჯის ერთადერთი კანონიერი მთავრობა, ნათქვამია ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ს. ბანდარანაიკეს განცხადებაში.

ტოკიო. ტოკიოში ოქმის ხელმოწერით მუშაობა დამთავრა საბჭოთა კავშირ-იაპონიის მეთევზეობის მუდმივი კომისიის მე-19 სესიამ.

კომისიის სესიაზე, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა, იხილავენ წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თევზის მარაგისა და ორი ქვეყნის მიერ ამ მარაგის რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების პრობლემებს.

## მიენიჭა მეთვალყურის სტატუსი

ჟენევა, 18 აპრილი. (საკდესი). ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მიენიჭა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის მეთვალყურის სტატუსი. გადაწყვეტილება ამის შესახებ მიღებულია ევროპის ეკონომიური კომისიის აქ მიმდინარე 30-ე სესიის პლენარულ სხდომაზე. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წარმომადგენლები მოწვეული არიან საკონსულტაციო საწყისებზე მონაწილეობა მიიღონ კომისიის მიერ ყველა იმ საკითხის განხილვაში, რომლებიც საინტერესოა სოციალისტური სახელმწიფოების ამ საერთაშორისო ეკონომიური ორგანიზაციისათვის.

ასეთი სტატუსი კომისიამ მიანიჭა აგრეთვე ევროპის ეკონომიურ გაერთიანებას.

ევროპის ეკონომიური კომისიის სესიაზე დამთავრდა საერთო დისკუსია, რომლის დროსაც შეეხნენ ევროპის ეკონომიური მდგომარეობისა და კონტინენტზე სავაჭრო-ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების ბევრ საკითხს.

## გამოფენა ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 19 აპრილი. (საკდესი). ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმში გაიხსნა ხელოვნების იმ ნაწარმოებთა გამოფენა, რომლებიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე შეიქმნა უძველეს დროში. გამოფენაზე, რომელიც მოაწყო სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, წარმოდგენილია ურარტუს, სკვითთა, ალტაისა და სარმატის ტომების ოსტატთა ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, ხისა და ძვლის ნაკეთობანი, რომლებიც დათარიღებულია ჩვენს ერამდე მესამე და ჩვენი ერის პირველი საუკუნით.

გამოფენაზე ექსპონატები გაგზავნეს სახელმწიფო ერმიტაჟმა, კიევის ისტორიული ძვირფასეულის მუზეუმმა, სახელმწიფო ისტორიულმა მუზეუმმა და როსტოვის საოლქო მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა.

თავის მხრივ მეტროპოლიტენი სსრ კავშირში გამოგზავნის გამოფენას — დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ოსტატთა 100 ტილოს, რომლებიც მუზეუმის კოლექციის საგანძურს შეადგენენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა გამოფენის დამთვალიერებლებს გაუგზავნა მისასალმებელი წერილი, რომელიც ვერნისაჟზე წაიკითხა სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინმა.

## ჩაერია ეკლესია

ლისაბონი, 18 აპრილი. (საკდესი). კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობა აშკარად ჩაერია პორტუგალიის დამფუძნებელი კრების არჩევნების კამპანიაში, რომელიც 25 აპრილს გაიმართება.

საარჩევნო კამპანიაში კათოლიკური ეკლესიის ტაქტიკა განიხილეს პორტუგალიის ეპისკოპოსთა ხუთდღიან თათბირზე. ეპისკოპოსებმა მოუწოდეს ამომრჩევლებს ხმა მისცენ მხოლოდ იმ პარტიებს, რომელთა იდეოლოგიური პრინციპები, მიზნები და პოლიტიკა შეესაბამება ქრისტიანობის კონცეფციებს. ადგილობრივ მეთვალყურეთა აზრით, პოლიტიკურ პარტიათაგან, რომლებიც საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობენ, ამ კატეგორიას მიეკუთვნება მხოლოდ ორი მემარჯვენე პარტია — სახალხო-დემოკრატიული პარტია და სოციალ-დემოკრატიული ცენტრის პარტია. ისინი დასძენენ, რომ ეს მოწოდება მიმართულია პირველ რიგში კომპარტიის წინააღმდეგ.

ეკლესია დიდი გავლენით სარგებლობს პორტუგალიაში, სადაც კათოლიკეები მოსახლეობის 90 პროცენტს შეადგენენ.

ამავე დროს ეპისკოპოსებმა გაილაშქრეს შეიარაღებული ძალების მოძრაობის რეკომენდაციის წინააღმდეგ, რომელმაც წინადადება მისცა ამომრჩევლებს, სხვადასხვა პარტიის პოლიტიკაში რომ სუსტად ერკვევიან, საარჩევნო ყუთში ჩაუშვან შეუვსებელი ბიულეტენები. ეს საშუალებას მისცემდა შეიარაღებული ძალების მოძრაობას გამოევლინებინა რაიონები, სადაც საჭირო იქნება ახსნა-განმარტებითი მუშაობის უფრო აქტიურად წარმოება. ეპისკოპოსებმა, პირიქით, განაცხადეს, რომ ყველა რეგისტრირებულმა ამომრჩეველმა მონაწილეობა უნდა მიიღოს კენჭისყრაში და არც ერთმა მათგანმა არ უნდა ჩაუშვას ყუთში ცარიელი ბიულეტენი.

პორტუგალიის ეკლესიის ხელმძღვანელობას მხარი დაუჭირა ვატიკანმა. ვატიკანის რადიომ გადასცა მოწოდება პორტუგალიის ამომრჩევლებისადმი, რომელსაც ურჩევს არ მისცენ ხმა იმ პარტიებს, რომელთა შეხედულებანი და მეთოდები, ეკლესიის აზრით, შეუთავსებელია ქრისტიანულ დოქტრინასთან.

ფოტოინფორმაცია

## პორტუგალია ემზადება




პორტუგალიის დედაქალაქი ლისაბონი ემზადება დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის, რომელიც 25 აპრილს — ფაშისტური დიქტატურის დამხობის წლისთავის დღეს — გაიმართება.

სურათზე: პორტუგალიის კომპარტიის აქტივისტებიავრცელებენ კომპარტიის ორგანოს გაზეთ „ავანტეს", რომელიც მოუწოდებს ხმა მისცენ კომპარტიის კანდიდატებს.

საკდესის ფოტო.

## საქართველოს ქალაქებში
# ცხინვალი
### გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

● ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხანა — რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობის პირმშო — სისტემატურად ზრდის საერთო პროდუქციის გამოშვებასა და რეალიზაციას. ქარხანამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 38 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა. გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის ნაკისრი ვალდებულებაც.

ცხინვალელმა მანქანათმშენებლებმა განსაკუთრებული მუყაითობით დაამზადეს 18 ცალი ელექტროვიბრომანქანა, რომლებიც კამაზის მშენებლებს გაეგზავნა. ვადაზე ადრე შესრულდა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებელთა დაკვეთა, მათი მისამართითაც დაიტვირთა და გაიგზავნა 3 მძლავრი ვიბრომანქანა.

● ცხინვალის ცენტრში, თბილისის ქუჩაზე აშენდა და მწყობრში ჩადგა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. ლამაზ სამსართულიან შენობაში მოთავსდა სახელოსნოები რადიო-და ტელეაპარატურის, საოჯახო ნივთებისა და ინვენტარის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაკეთებლად, საპარიკმახერო სალონები, აგრეთვე სხვა პროფილის სამომსახურეო განყოფილებები. საოლქო ცენტრის მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვდა ამ სიახლეს ქალაქში.

● ახლახან ცხინვალში № 121 მექანიზებულ ვოლონსასთან გაიხსნა ტექნიკური სასწავლებელი, რომელიც ამზადებს კალატოზებს, დურგლებს, მლესავებს, მღებავებს, მემონტაჟეებსა და შემდუღებლებს. სასწავლებელში ერთდროულად სწავლობს 230 ახალგაზრდა. სწავლების ვადა 6 თვეა. მალე მოხდება სასწავლებლის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება. საკვალიფიკაციო კომისიის გავლის შემდეგ ახალგაზრდები შეუდგებიან შრომას ოლქის ახალმშენებლობებზე.

**ი. თედიაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

---

### იცნობდით, ჩვენი თანამემამულეა
# უნიკალური ოპერაციების ოსტატები

**ამ დღეებში** „ვეჩერნაია მოსკვამ" გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც აღნიშნულია: „საბჭოთა მედიკოსებმა სიკვდილს გადამარჩინეს. ბოტკინის საავადმყოფოს ექიმებს მადლობას ვუხდი ყურადღებისათვის, ოსტატობისა და ღიმილისათვის. თეთრხალათიანი ადამიანების სიკეთე ავადმყოფებს ყოველთვის გვშველოდა, მძიმე წუთებში გვეხმარებოდა. ახლა კი ავადმყოფობამ უკან დაიხია, გამოვჯანმრთელდი და მშობლიურ ბულგარეთში დავბრუნდი, მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც იბრძოდნენ ჩემი ჯანმრთელობის აღსადგენად, მუდამ მემახსოვრება. განსაკუთრებით ხშირად ვიგონებ ჩემს მკურნალ ექიმ ჰენრიხ კალისტრატეს-ძე ჩაკვეტაძეს და ექთანს ლიუდმილა ვლადიმერის ასულ კრაუხინას. მ. ივანოვი".

ეს წერილი რედაქციას მილჩო ივანოვმა გამოუგზავნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკიდან. ჩვენ დავუკავშირდით ჰენრიხ ჩაკვეტაძეს და ვთხოვეთ კომენტარი გაეკეთებინა ამ წერილისათვის.

— ბოტკინის სახელობის საავადმყოფოს ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიური განყოფილება სსრ კავშირის ჯანმრთელობის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრალური ინსტიტუტის კლინიკაა, — გვითხრა მან. — მილჩო ივანოვი ჩვენთან მძიმე მდგომარეობაში მოიყვანეს, ტრავმის შედეგად მოტეხილობა მიიღო და კისრის მალა ეღრძო. ავადმყოფს მოძრაობა არ შეეძლო, მთელი მარჯვენა მხარე დამბლით ჰქონდა წართმეული. გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა ე. წ. ხერხემლის გაჭიმვითი მკურნალობა. ამ მეთოდით კარგ შედეგებს აღწევენ იმ შემთხვევაში, როცა აბსოლუტური სიზუსტით მოხდება მალების შეპირაპირება. ყოველდღე პაციენტს განსაკუთრებული ყურადღებით ვეპყრობოდით, ვამოწმებდით მალების შეზრდის მიმდინარეობას. ყველაფერი ნორმალურად წარიმართა, მალები შეეზარდნენ. ორი კვირის შემდეგ მილჩო ივანოვს უკვე შეეძლო ფეხისა და ხელის მოძრაობა, ხოლო თაბაშირში ორი თვის ყოფნის შემდეგ იგი ფეხზე წამოდგა.

ვინ არის ჰენრიხ ჩაკვეტაძე?

იგი ქუთაისში დაიბადა და აღიზარდა. 1960 წელს ოქროს მედლით დაამთავრა მე-4 საშუალო სკოლა, შემდეგ, ერთხანს, ტყავფეხსაცმლის კომბინატში მუშად მუშაობდა, 1968 წელს კი წარჩინებით დაამთავრა ვორონეჟის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, სავალდებულო სამხედრო სამსახურიც მოიხადა და ახლა მოსკოვში მუშაობს.

**დ. გედენიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

---

## დღეს „პრავდის" პრიზზე მძლეოსნური კროსის ფინალებია

# პირველად თბილისის ტრასებზე

როცა 13 წლის წინათ ლენინური „პრავდის" ნახევარი საუკუნის იუბილე აღინიშნებოდა, ჩვენს ფიზკულტურულ მოძრაობაში იშვა შესანიშნავი ტრადიცია — ყოველი გაზაფხულის დადგომა აღინიშნოს გაზეთ „პრავდის" პრიზზე საკავშირო მძლეოსნური კროსის მასობრივი სტარტებით.

მაშინ ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა, რომ ეს შეჯიბრება ესოდენ გრანდიოზული გახდებოდა, თავის ორბიტაში ჩააბამდა მილიონობით საბჭოთა მშრომელს. თუ პირველ ფინალში, რომელიც მოსკოვში 1962 წლის 6 მაისს გაიმართა, სტარტზე გამოვიდა 756 კაცი, ხოლო ადგილებზე წინასწარ შეჯიბრებაში სამ მილიონზე მეტი ფიზკულტურელი მონაწილეობდა, ახლა ფინალისტთა რიცხვი ათას ხუთას კაცს აღემატება, ხოლო წინასწარ სტარტებში მონაწილეობა მიიღო ხუთმა მილიონმა კროსმენმა.

აი უკვე რამდენიმე წელიწადია ფინალი „მოგზაურობს" ჩვენს ქვეყანაში — 1972 წელს მოსკოველებმა ესტაფეტა გადასცეს კიშინიოვს, შემდეგ კი სსრ კავშირის უძლიერეს მძლეოსნებს მასპინძლობდნენ ვილნიუსი და ფრუნზე, ახლა კი ესტაფეტა მიიღო საქართველოს დედაქალაქმა — თბილისმა. დიდი სპორტული დღესასწაულის წინადღეს (კროსი 20 აპრილს გაიმართება თბილისის იპოდრომზე) სრული რწმენით შეიძლება ითქვას, რომ იგი ყოველმხრივ რეკორდული იქნება. ეჭვი არ გვეპარება, „სპორტის დედოფლის" თაყვანისმცემელნი იპოდრომის ტრასებზე უაღრესად საინტერესო ბრძოლის მოწმენი გახდებიან. აღვნიშნავ, რომ როცა ვლაპარაკობთ თბილისის კროსზე, ჩვენ შეგვიძლია არაერთხელ ვთქვათ სიტყვა „პირველად".

წლევანდელი შეჯიბრება ეძღვნება სახელოვან თარიღს — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავს. ფინალის პროგრამაში პირველად შეტანილია შეჯიბრება გმირი ქალაქებისა და გმირი ციხე-სიმაგრის ბრესტის გუნდებს შორის თბილისის სპორტული ორგანიზაციების მიერ დაწესებულ პრიზზე.

პირველად ესოდენ ფართოა ასპარეზობის პროგრამა — თბილისში იწყება კროსის ჩატარების ისტორია იუნიორ ქალთა შორის 2.000 მეტრზე, ვაჟებისათვის 14.000 მეტრზე. იუნიორი ვაჟები პირველად ერთმანეთს შეეჯიბრებიან არა ერთ, არამედ ორ დისტანციაზე — 3.000 და 5.000 მეტრზე. პირველად შეეცილებიან ერთმანეთს პირველობას ქალებიც 2.000 და 3.000 მეტრზე.

„პრავდის" კროსის ახალ თვისებრივ მდგომარეობას მოწმობს ისიც, რომ პირველად თბილისში გამარჯვებულებს ოთხ დისტანციაზე — 2.000 და 3.000 მეტრზე ქალებს და 8.000 და 14.000 მეტრზე ვაჟებს მიენიჭებათ სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება. ეს კი ნიშნავს, რომ ბრძოლა იპოდრომზე მწვავე, უკომპრომისო იქნება.

გულითადად ვიწვევთ დღეს იპოდრომზე თბილისის მცხოვრებთ და რესპუბლიკის დედაქალაქის მრავალრიცხოვან სტუმრებს. შესაძლოა თქვენ გაგიტაცოთ მძლეოსნობამ და იპოდრომიდან წახვიდეთ სპორტის ამ ყველაზე ლამაზი სახეობის გულშემატკივრად. მაშ ასე, კვირას დილის 9 საათზე იპოდრომზე შეხვედრამდე.

**ვ. ოტკალენკო,**
გაზეთ „პრავდის" სპორტული მიმომხილველი.

# ლაპარაკობენ გუნდების ხელმძღვანელები, მწვრთნელები

**ა. მოროზოვი,**
რსფსრ-ის გუნდის ხელმძღვანელი, მთავარი მწვრთნელი.

რა თქმა უნდა, თბილისში გამარჯვების რწმენით ჩამოვედით, „პრავდის" პრიზთან ერთად გვსურს დავეუფლოთ ჩემპიონის მედლებს. ამ მასობრივ ასპარეზობაში ჩვენ მხოლოდ ერთხელ დავთმეთ პოზიცია და მეორე ადგილით დავკმაყოფილდით, დანარჩენ კროსებში კი პირველობა არავისათვის დაგვითმია. მოგვწონს თქვენი დედაქალაქი, კმაყოფილი ვართ იმ სტუმართმოყვარეობით, რომელსაც თბილისელები იჩენენ ჩვენდამი და ყველა დელეგაციისადმი. აქ არ შევუდგები რსფსრ-ის გუნდის ყველა მონაწილის ჩამოთვლას, არ ვილაპარაკებ მათს სპორტულ ბიოგრაფიაზე, სპორტულ შედეგებზე, უკეთესი იქნება თვითონ გაეცნოთ მათ იპოდრომის ბილიკებზე.

**ვ. სიტნიკი,**
მოლდავეთის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი

მოლდავეთის გუნდი სწორედ იმ ჯგუფში გამოდის, რომელშიც საქართველოს კროსმენები მონაწილეობენ. უკანასკნელი წლების მანძილზე ამ ჯგუფში მირითადი ბრძოლა პირველობისათვის ჩვენსა და ყირგიზეთის გუნდებს შორის მიმდინარეობდა. მაგალითად, კიშინიოვში გამართულ ასპარეზობაში ჩვენ პირველები ვიყავით, ფრუნზეში კი ყირგიზებმა გაიმარჯვეს. თბილისშიც წარმატების იმედი გვაქვს. გუნდში 26 კაცია. იმედებს ვამყარებთ 1.000, 3.000 და 14.000 მეტრზე რბენაში, სადაც გამოგვყავს საკმაოდ ძლიერი სპორტსმენები ს. გუსკოვა, ი. კოჩერგინი, ს. ბაიდიუკი და ვ. ნიკოლაევი.

**ა. შჩერბინა,**
საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი

პირდაპირ ვიტყვით, განვლილ კროსებში ჩვენი სპორტული მაჩვენებლები როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში არ იყო სახარბიელო. როგორც ხედავთ, ეს სახეობა ჯერ კიდევ არ არის ჩვენთან პოპულარული. „პრავდის" კროსის ფინალი საუკეთესო პროპაგანდა იქნება რესპუბლიკაში მძლეოსნობის აღმავლობისათვის. საქართველოს კროსის შედეგები ცუდი როდი იყო. ეს იმის რწმენას გვაძლევს, რომ ამჯერად ჩვენი სპორტსმენები უკეთ გამოვლენ, ვიდრე ოდესმე. შეკრებას 30 კაცი გადიოდა. ესენი არიან რესპუბლიკურ კროსში გამარჯვებულები. დღეს მონაწილეობას მივიღებთ ყველა დისტანციაზე.

---

# სიყვარული, პატივისცემა
### გიორგი ლეონიძის ხსოვნის საღამო მოსკოვში

**მოსკოვი. 19 აპრილი.** („კომუნისტის" სპეც. კორ.). საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქის ლიტერატურული საზოგადოებრიობა პატივისცემით და სიყვარულით იგონებს ქართული მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატის, საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის სახელს. ამ სიყვარულის საუკეთესო გამოხატულება იყო გიორგი ლეონიძის ხსოვნის საღამო, რომელიც დღეს გაიმართა ა. ფადეევის სახელობის ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში.

საღამოში მონაწილეობდნენ მოსკოველი და ქართველი მწერლები, კულტურის, ხელოვნების მოღვაწეები, ჟურნალისტები, დედაქალაქის ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. გიორგი ლეონიძის ხსოვნის საღამოს დაწვრილებითი ანგარიში ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში გამოქვეყნდება.

---

# მტრის ბუნაგთან

**მ**ეტად მძიმე იყო მარგო სადრაძისათვის, ქმრის სახელზე გაგზავნილი ბარათი გაუხსნელი უკანვე რომ მიიღო. ქალი აფორიაქდა. „იქნებ ვიქტორის ნაწილმა მისამართი შეიცვალა და მისი წერილი არ მიუღია?" — ინუგეშებდა თავს და ერთხელ კიდევ კითხულობდა საყვარელი მეუღლის იმედითა და მალე შეხვედრის რწმენით აღსავსე ბარათებს.

და აი სამწუხარო შეტყობინებაც მიიღო: „გვარდიის მაიორი ვიქტორ ივანეს-ძე სადრაძე 1945 წლის 2 მაისს დაიღუპა ბერლინთან ახლოს, ქ. ალტლანდსბერგში". ძნელად შესაგუებელი ამბავი იყო მეომრის სიკვდილი ომის დამთავრების ჟამს. ადამიანი, რომელმაც გადაიტანა მთელი ომის სიმძიმე, დაიღუპა თვით მტრის ბუნაგთან ახლოს, ველარ მოესწრო გამარჯვების სიხარულს.

გავიდა წლები. გაიზარდა ვიქტორ სადრაძის ვაჟი თამაზი. ის მხოლოდ სურათებით იცნობდა მამას. დედის გადმოცემით იცოდა რა უშიშარი, სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული იყო ვიქტორი; ეცნობოდა შინმოუსვლელი მამის ბარათებს, სადაც ის რამდენ სიკეთეს ჰპირდებოდა თავის პატარას!



1967 წელს თბილისში, თამაზ სადრაძის სახელზე გერმანელმა მეგობრებმა ვიქტორ ივანეს-ძე სადრაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლამაზად დასურათებული ალბომი გამოგზავნეს. ალბომში ჩაკრული სურათები ასახავს საზეიმო ცერემონიალს და მიტინგს, რომელიც გაიმართა გმირი საბჭოთა მეომრების საფლავზე. აქვე საფლავის ფოტოსურათიც არის ჩაკრული. დაღუპულთა სიაში ვ. სადრაძის გარდა მეორე ქართველის გვარიც ჩანს: „გვარდიის ლეიტენანტი გ. დეოკლიძე" (თუ დესკოლიძე?).

თამაზმა მონახა თავისი მამის მეგობრები და სთხოვა მათ მოეთხროთ როგორი იყო მამამისი, როგორ დაიღუპა იგი. აი რას წერდნენ გადამდგარი პოლკოვნიკი ვ. სისოევი და გადამდგარი პოდპოლკოვნიკი ნ. ბულოვინი დაღუპული მეგობრის ვაჟს:

ვ. სადრაძე უშიშარი, თავდადებული კომუნისტი, თავისი სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული ადამიანი იყო. გვაგონდება ერთი ასეთი შემთხვევა.

ვინიცისათვის ბრძოლაში ჩვენი კორპუსის შტაბი მოწინააღმდეგის სატანკო დივიზიის ალყაში მოხვდა. შტაბის მანქანები უკან იხევდა. ფაშისტების ავიაცია გამანადგურებელი ცეცხლით უსწორდებოდა ჩვენს ნაწილებს. თვითმფრინავები სულ დაბლა ეშვებოდნენ და ირგვლივ სიკვდილს თესავდნენ. მანქანა, რომელშიც ვ. სადრაძე იმყოფებოდა, შარაგზაზე მთელი სისწრაფით მიჰქროდა. უცებ უკანა საბურავები თხრილში ჩავარდა და მანქანა ადგილზე დაბუქსავდა. ვიქტორი სასწრაფოდ გადმოხტა მანქანიდან, თავისი მხრებით, მთელი ძალით მიაწვა მანქანას და ისევ შოფრის გვერდით დაჯდა. მტრის თვითმფრინავები კი კვლავ ჰაერში ტრიალებდნენ. გამბედაობისა და თავგანწირვისათვის კორპუსის ხელმძღვანელობამ ის ჯილდოზე წარადგინა.

ასეთი თავდადებული მებრძოლი იყო კომუნისტური პარტიის ღირსეული შვილი ვიქტორ სადრაძე, რომელმაც ბრძოლით განვლო გზა კურსკიდან ბერლინამდე.

ეს მოხდა 1945 წლის 2 მაისს ბერლინთან ახლოს. ტირგანტენთან გერმანელთა ერთმა ჯგუფმა ექვსი ტანკით შესძლო ალყის გარღვევა. გერმანელები ბერლინიდან გაქცევას შეეცადნენ.

იმ სახლთან, სადაც სადრაძე და მისი ამხანაგები იყვნენ, მორიგემ შენიშნა გერმანელები. სადრაძემ ყველა მეომარი სასწრაფოდ შეკრიბა, უბრძანა მანქანაში ჩასხდომით და თქვენს ნაწილებს შეუერთდით, რომლებიც აქვე ახლოს იმყოფებიანო. მანქანები ცენტრისაკენ მიემართებოდა, რომ უცებ, ზედ მოედანზე სადრაძის მანქანა გერმანელთა ტანკის წინ აღმოჩნდა. სულ ორიოდე წუთი და მაიორი უსულოდ დაეცა.

ერთი საათის შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა გაანადგურეს გერმანელთა ეს ჯგუფი, დახოცილი ჩვენი მეომრები კი იქვე ქალაქში დაასაფლავეს.

**ლ. ხუბულური.**

## მახსენება XXX

---



„კომუნისტის" ფოტოკონკურსზე
გ. გაბუნია (თბილისი) — „მშენებლობაზე".

# ჩვენი ახალი ფოსტიდან

□ **საჩხერე.** ამ დღეებში კომკავშირის რაიკომმა და სარაიონო ბიბლიოთეკამ გამართეს თემატური კონფერენცია თემაზე: „საქართველოს კომკავშირი დიდ სამამულო ომში", რომელიც ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავს მიეძღვნა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ლამბაშიძემ.

მოხსენებები წაიკითხეს: მ. დეკანოიძემ, ც. ჩაჩანიძემ. ა. გამგებელმა, ო. მაჭავარიანმა.

**ა. ბაჯანაძე.**

□ **ორჯონიკიძე.** სოფელ ხიდრის საშუალო სკოლამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო საბჭოთა კავშირის გმირს სახელმოხვეჭილ ქართველ გენერალს ვლადიმერ ნანეიშვილს.

მოხსენება დიდი გამარჯვების 30-ე წლისთავის შესახებ წაიკითხა ამავე სკოლის პედაგოგმა ლ. ბუაჩიძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ ბ. პაპავა, ი. წვერავა და გ. ბერაძე. სოფლის მშრომელთა სახელით საპატიო სტუმარს მიესალმნენ ბრიგადირი შ. ბერაძე, მოსწავლე მ. დოლიკაშვილი. საკუთარი ლექსი დამსწრეთ წაუკითხა დ. გურგენიძემ.

საინტერესო იყო თვით სტუმრის გამოსვლა. მან გულთბილი მადლობა გადაუხადა დამსწრეებს დიდი დაფასებისათვის.

დასასრულ სასოფლო კლუბის აგიტმხატვრულმა ბრიგადამ გამართა კონცერტი.

**დ. გურგენიძე.**

□ **ონი.** საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატმა ონის სახალხო თეატრმა მიმდინარე წლის 10-11 აპრილს მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერების პირველი ტურის პროგრამით მაყურებელს უჩვენა მ. ალიგერის „ზოია". დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს სახალხო თეატრის რეჟისორს გ. ჯაფარიძეს.

სპექტაკლში ასახულია საბჭოთა ადამიანების სამშობლოსადმი უდიდესი პატრიოტიზმი.

**ნ. დუშუაშვილი.**

---

### ჰოკეი
# ფინიში „აის-შტადიონზე"

**მსოფლიოს** თოთხმეტგზის ჩემპიონმა — სსრ კავშირის ნაკრებმა გუშინ ჩემპიონატის უკანასკნელი შეხვედრა გამართა დიუსელდორფში მესამე ადგილის მფლობელთან — შვეციის გუნდის წინააღმდეგ.

ჩვენმა ჰოკეისტებმა გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით 13:4. ამრიგად, საბჭოთა ნაკრებმა მოიგო ათივე შეხვედრა შაიბების საუკეთესო სხვაობით 90-23.

გუშინვე ფინეთის გუნდი ხვდებოდა ვერცხლის პრიზიორს — ჩეხოსლოვაკიის გუნდს. ანგარიშით 5:1 გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა.

წინადღეს გაიმართა პოლონეთისა და აშშ-ის ნაკრებთა მატჩი. პოლონელმა ჰოკეისტებმა, რომლებსაც ავარჯიშებს საბჭოთა მწვრთნელი ანატოლი ეგოროვი, გაიმარჯვეს ანგარიშით 5:2, მეხუთე ადგილზე გამოვიდნენ და უფლება მოიპოვეს გაისადაც იასპარეზონ უძლიერესთა შორის.

გუშინ გაიმართა ჩემპიონატის საზეიმო დახურვა. საბჭოთა ნაკრებს — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს გადაეცა საპატიო თასები, რომლებიც მოსკოვში ლუჟნიკის ფიზკულტურისა და სპორტის მუზეუმში კვლავ დაიკავებენ თავიანთ ტრადიციულ ადგილს.

### ჭადრაკი
# ლიდერთა ტრიო

**ვრნიაჩკა-ბანიას** (იუგოსლავია) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის მე-8 ტურში ნ. გაფრინდაშვილი შეხვდა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს, ოსტატ ვადაშს (უნგრეთი). გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონმა. ეს ვადაშის პირველი დამარცხებაა.

ა. გიპსლისის პარტია საერთაშორისო ოსტატ კნეჟევიჩთან (იუგოსლავია) ყაიმით დამთავრდა. გაიმართა აგრეთვე გადადებული პარტიების დამთავრება. ნ. გაფრინდაშვილისა და მარტინოვიჩის (იუგოსლავია) მე-7 ტურის პარტია ყაიმით დამთავრდა.

ახლა ტურნირს ლიდერობს სამი მოჭადრაკე — გიპსლისი, მარტინოვიჩი და ოსტოიჩი (ორივე — იუგოსლავია), რომლებსაც 5-5 ქულა აქვთ ნ. გაფრინდაშვილმა მოაგროვა 3,5 ქულა.

გუშინ ტურნირზე დასვენების დღე იყო. (ტელეფონით).

# განვლილია ათი ტური

**ლას-პალმასის** (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეებმა განვლეს შეჯიბრების ორი მესამედი — 10 ტური.

გათამაშების ლიდერმა ლიუბოევიჩმა (იუგოსლავია) დაამარცხა ფერნანდესი (ესპანეთი) და ახლა 8 ქულა აქვს.

დიდოსტატი ტალი, რომელიც 6,5 ქულით მესამე ადგილზეა, ამ ტურში ისვენებდა, ხოლო პეტროსიანმა ყაიმით დაამთავრა პარტია ანდერსონთან (შვეცია) და 5 ქულა მოაგროვა.

# საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი

**მესამე** ტურში მაია ჩიბურდანიძისა და ბუსლაევის პარტიაში გათამაშდა სიცილიური დაცვა. მწვავე ბრძოლის შემდეგ შეხვედრა გადაიდო დაახლოებით თანაბარ პოზიციაში. აფხაზეთის ჩემპიონმა ჯობავამ შავებით სძლია მეორე დებიუტანტს — გოგიტიძეს. გედევანიშვილმა მოუგო ბოკუჩავას, ჭაბუკმა ოსტატობის კანდიდატმა სტურუამ — ჩახოიანს (სტურუას ორი პარტია გადადებული აქვს უკეთეს პოზიციებში და ამრიგად გათამაშების პოტენციური ლიდერია), მიქაძემ — მენაბდეს, მზარელუამ — ბიბილაშვილს. ლომაია — ტუზოვსკის პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

3 ტურის შემდეგ ორ-ორი ქულა აქვთ ოსტატ ლომაიას (თბილისი), ოსტატობის კანდიდატებს მზარელუას (ზუგდიდი) და ჯობავას (გალი). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ორივე ოსტატობის კანდიდატი საქართველოს ჩემპიონატში პირველად მონაწილეობს.

## მოკლედ

**ფეხბურთი.** გუშინ უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მატჩში კიევის „დინამომ" თავის მოედანზე დაამარცხა ვოროშილოვგრადის „ზარია" — 3:0.

**ფრენბურთი.** ცსკა-ს ვაჟთა გუნდმა სტუმრად დაამარცხა ლენინგრადის „ავტომობილისტი" — 3:2 და ვადაზე ადრე მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი. ეს მისი მე-18 გამარჯვებაა საკავშირო ჩემპიონატებში.

**ბადმინტონი.** კოპენჰაგენში დაიწყო ევროპის მეთხე ჩემპიონატი იუნიორთა შორის, რომელშიც 14 ქვეყნის 105 სპორტსმენი გამოდის. საბჭოთა ნაკრებმა პირველ შეხვედრაში მოუგო უელსის გუნდს — 5:0.

# „სპორტლოტო"

**სპორტულ** ლატარიათა მთავარ სამმართველოში შეაჯამეს „სპორტლოტოს" მე-13 ტირაჟის შედეგები, რომელიც 16 აპრილს გაიმართა მოსკოვში.

**„სპორტლოტო":** ექვსი ნომერი მხოლოდ ერთმა გამოიცნო — 5.000 მანეთი; ისინი, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნეს, 2.245 მანეთს მიიღებენ (159 ბილეთი); ოთხი ნომერი — 35 მანეთს (10.663 ბილეთი); სამი ნომერი — 3 მანეთს (153. 653 ბილეთი).

**„სპორტლოტო-2":** ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო; ისინი, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნეს, მიიღებენ 1.377 მანეთს (84 ბილეთი); ოთხი ნომერი — 34 მანეთს (3.425 ბილეთი); სამი ნომერი — 3 მანეთს (52.696 ბილეთი).

მოგებათა გაცემა იწარმოებს 27 აპრილიდან 27 მაისის ჩათვლით.

---

### ჩვენი კინოაფიშა



# საით, გლაპრებო!

**ფილმში** ნაჩვენებია ახალგაზრდების ცხოვრება, მათი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯები... ავტორები თავიანთ გმირებს თავს არ ახვევენ მშრალ და შაბლონურ სენტენციებს, ახალგაზრდები თანდათან ახლოს ეცნობიან ცხოვრებას და ჭეშმარიტ გზასაც თვითონვე პოულობენ. ფილმის დამდგმელი რეჟისორია ა. დაუსა. მთავარი ოპერატორი ი. ტომაშიავიჩიუსი. როლებს ასრულებენ ი. კილშაუსკაიტე, ა. კიბარტასი, ს. რაჩკისი, ა. სტორპირშტისი, მ. ურბანაიტე. (ლიტვის კინოსტუდია).



# ციცაბო

**ვ. ფაფაზიანის** პიესა „ციცაბო" სომხური რეალისტური დრამატურგიის ფონდში შევიდა. ეს პიესა საფუძვლად დაედო ახალ კინოსურათს, რომელიც სომეხმა კინემატოგრაფისტებმა კინოსტუდია „არმენფილმში" გადაიღეს. ფილმი შთაგონებულია რუსეთის პირველი რევოლუციის იდეებით და ახლებურად გადმოგვცემს მუშებისა და მოწინავე ინტელიგენციის განწყობილებას. ფილმის დამდგმელი რეჟისორები არიან ვ. აჯემიანი, ა. აირაპეტიანი. მთავარი ოპერატორი ს. ისრაელიანი. როლებში: გ. ჯანიბეკიანი, ო. ავაქიანი, მ. პარონიკიანი, ა. ხაჩატრიანი.



# აბუ რაიჰან ბერუნი

**აღმოსავლეთის** ცნობილი სწავლულის აბუ რაიჰან ბერუნის მოღვაწეობის სფერო მეცნიერების მრავალ დარგს მოიცავდა... ამ გამოჩენილი პიროვნების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოგვითხრობს ფილმი, რომელიც რეჟისორმა შ. აბასოვმა გადაიღო „უზბეკფილმში". ოპერატორია ხ. ფაიზიევი. მთავარ როლებს ასრულებენ პ. საიდ-კასიმოვი, ბ. შუკუროვი, რ. ხამრაევი, ბ. ვატაევი, ვ. იაკუტი, თ. შაკიროვა, დ. კამბაროვა.

---

### სასამართლოს დარბაზიდან
# დაუპატიჟებელი სტუმარი

**გვიან** ღამით იგორ უშაკოვი დიდხანს უთვალთვალებდა მოსკოვის პროსპექტზე ჩამწკრივებულ სახლებს. ბოლოს ერთი ბინის ღია ფანჯარა შენიშნა. იგი აჰყვა გაზსადენ მილს, გადააბიჯა ლოჯიას და, რაკი დარწმუნდა, რომ ოთახში მძინარე ქალის მეტი არავინ იყო, შევიდა მეორე ოთახში. მალე იქიდან ცალი ხელით ჩანთა გამოიტანა და მეორეთი — ჩემოდანი, რომელშიც სამასი ათასი მანეთის ნივთები იყო. ქურდი მომზადდა იმავე გზით დაეტოვებინა სახლი, მაგრამ მოტყუვდა. ხმაურმა მძინარე ქალი გამოაღვიძა. ქალმა ყვირილი ატეხა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მილიციის ოპერატიული ჯგუფიც მოვიდა და უშაკოვი დანაშაულის ადგილას შეიპყრო.

წინასწარი გამოძიების შემდეგ, რომელზედაც ქურდმა სხვა დანაშაულიც აღიარა, იგი თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოს წინაშე წარსდგა. სასამართლომ მას ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. (საქინფორმი).

---

# მონადირის ბილიკებით

**შარშან** ბორჯომის ხეობაში ძალიან მომრავლდა მგელი. მან დიდი ზარალი მიაყენა აქ მობინადრე ირემსა და შველს. აღირიცხა ირმის შეჭმის ასზე მეტი შემთხვევა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის წინადადებითა და საქართველოს „მონკავშირის" პრეზიდიუმის ინიციატივით ბორჯომელმა მონადირეებმა რაიონის ტერიტორიაზე 43 მგელი და 10 ფოცხვერი მოსპეს. აქედან 22 მგელი და 5 ფოცხვერი ნაკრძალშივე მოიპოვეს. ეს მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა ჩვენი ბუნების ულამაზესი და უიშვიათესი ცხოველის — ირმის დასაცავად და შესანარჩუნებლად.

ახლა ირემი ხეობაში შედარებით თავისუფლად გრძნობს თავს.

**ალ. არაბული,**
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ზოოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

---

## ტელევიზია

### 20 აპრილი
**პირველი პროგრამით**

09.00 — საკავშირო კროსი გაზეთ „პრავდის" პრიზზე, 12.30 — კინონარკვევი, 13.00 — „შევისწავლოთ რუსული ენა", 14.00 — „კინოაფიშა", 14.30 — კინონარკვევი „ვარსკვლავებიდან ატომამდე", 14.45 — კონცერტი, 15.30 — მხატვრული ფილმი „ქალთა ფიცი", 16.45 — მოსწავლეთათვის „ჩვენი პრეს-კონფერენცია", 17.25 — ფერადი ტელევიზია — „საერთაშორისო პანორამა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.55 — „მულტპანორამა", 19.15 — ფერადი ტელევიზია. „კინომოგზაურობის კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15 — „ქალის სახე ეკრანზე", 21.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.20 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „დეკამერონი-40".

**მეორე პროგრამით**

18.05 — ბავშვებისათვის მხატვრული კინოპროგრამა, 19.00 — სატელევიზიო სპექტაკლი „მოკითხვამდე", 20.15 — კონცერტი, 21.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან" (მეშვიდე სერია).

### 21 აპრილი
**პირველი პროგრამით**

17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — მოსწავლეთათვის — „ის დაიბადა აპრილის თვეში", 18.40 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 19.00 — ვ. ი. ლენინის დაბადების 105 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომისა და კონცერტის ტრანსლაცია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. შესვენების დროს „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — სატელევიზიო ფილმი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი. (გადმოცემა მოსკოვიდან). დასასრულ — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამით**

18.05 — სკოლების დასახმარებლად საქართველოს ისტორია (მარტყოფის ომი), 18.50 — კინონარკვევი „ძნელი რეისი", 19.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ქიმიაში, 19.50 — კინონარკვევი „ვარსკვლავებიდან ატომამდე", 20.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ფილოსოფიაში, 20.45 — განცხადებები, 20.50 — მხატვრული ფილმი „შეხება".

## ნახეთ, ნახ მოისმინეთ

## თეატრები

### 20 აპრილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **გორდა** (დღისით). **ქეთო და კოტე** (საღამოს); შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **რომეო და ჯულიეტა** (დღისით). **ღალატი** (საღამოს); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ტაკიმასხარა**; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ნაცარქექია** (დღისით), **სხვისი შვილების მამა** (საღამოს).

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**


კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 93-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКО 66443 უე 02699 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14